აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

ქართული ფილოლოგია, საბაკალავრო პროგრამა
ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა
ქართული ლიტერატურის ისტორია, სამაგისტრო პროგრამა
ქართული ფილოლოგია, სადოქტორო პროგრამა

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
9-11.11.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 15

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 15

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 39

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 53

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა 61

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 84

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	424066977
ინსტიტუციის ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გეორგ შუპენერი, წმინდა კირილეს და მეთოდის უნივერსიტეტი, ტრნავა, სლოვაკეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ზაალ კიკვიძე, თსუ ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველო; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ ჩოკორაია, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თეონა კუპრაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პგორამა	ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში	ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა	ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში	ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში	ქართული ლიტერატურის ისტორიის მაგისტრი	ქართული ფილოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0232.1.1 ქართული ფილოლოგია	0232.2.2 ქართველური ენათმეცნიერება	0232.2.4 ქართული ლიტერატურა/ქართული ლიტერატურის ისტორია	0232.1.1 ქართული ფილოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]	-	-	-	-
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120	120	40
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული / პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული (13.9.2012)	აკრედიტებული (13.9.2012)	აკრედიტებული (13.9.2012)	პირობით აკრედიტებული (2.12.2020)

[1]მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[2]**

კლასტერი შედგება ჩამოთვლილი პროგრამებისგან: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, ფილოლოგიის სამაგიტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში, ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა, ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა. ეს პროგრამები ეკუთვნის ფილოლოგიის დარგს და შინაარსობრივად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია. ისინი ნაწილობრივ ერთმანეთს ეფუძნება და ასევე ფორმალურად კარგად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს ასევე ეხება რესურსებსა და სასწავლო პერსონალსაც. ამ პროგრამების კლასტერში გაერთიანებით, მნიშვნელოვანი დამატებითი სარგებელი იქმნება. კერძოდ, მნიშვნელოვანია რეგიონული სპეციფიურობა, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც კლასტერისთვის, ასევე ინდივიდუალურად პროგრამებისთვის. ამ მხრივ, კლასტერის ფორმირება ასახავს შინაარსობრივ, ფორმალურ და რეგიონულ ასპექტებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა მიიღეს მკაფიო სურათი კლასტერის ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი დაწესებულებების შესახებ. მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, გასაუბრებოდნენ კლასტერითან დაკავშირებულ პირებს, მათ შორის სტუდენტებს. ზოგადად, ვიზიტმა უზრუნველყო იმის მტკიცებულება, რომ უსდ-ს აქვს სათანადო ხარისხის აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა. დისკუსიებმა კი მოგვაწოდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია კლასტერის თითქმის ყველა დეტალზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თანხმდებიან, რომ კლასტერის უმეტესი ნაწილი შესაბამისობაშია სტანდარტებთან და მოთხოვნებთან. თუმცა, ვლინდება გარკვეული სისუსტეები, ზოგიერთ ქვე-სფეროებში. მიუხედავად ამისა, ყველა მიმართულებით არსებობს მტკიცე საფუძველი, რაც სათანადო საყრდენს ქმნის კლასტერში შემავალი პროგრამებისთვის. ფორმალური კუთხით არსებული სტანდარტების მიღმა, კლასტერს არაერთი ძლიერი მხარე აქვს, რაც კონკრეტულად ეხება რეგიონულ სპეციფიკას და პროგრამების კავშირს. ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე, გასაუმჯობესებელ მხარეებზე რეაგირება რეალისტურია, რამდენადაც კლასტერს აქვს მტკიცე საწყისი პოზიცია.

- **რეკომენდაციები**

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

[2]პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა კონცენტრირებული უნდა იყოს მონოგრაფიებზე და არა უამრავ ჟურნალსა და საკონფერენციო ნაშრომების აბსტრაქტებზე.
- კურსის სათაურები და შინაარსი უნდა შესწორდეს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.
- რეკომენდებულია დისტანციური წვდომის უზრუნველყოფა ყველა აკადემიურ მონაცემთა ბაზაზე, რომლებიც გამოწერილი აქვს ბიბლიოთეკას (მაგ. VPN-ის საშუალებით), განსაკუთრებით პერიფერიულ რაიონებში მცხოვრები სტუდენტებისთვის; სასარგებლო იქნება დისტანციური წვდომა არსებობდეს არა მხოლოდ Elsevier-ის მონაცემთა ბაზებზე (რომლებიც არ არის სპეციფიკური კლასტერში არსებული პროგრამებისთვის).
- რეკომენდებულია, რომ ბიბლიოთეკამ გაუმჯობესოს აკადემიური მონაცემთა ბაზების მოხმარების შესახებ ტრენინგი და ამ პროცესში ჩართოს აკადემიური პერსონალი, რათა მეტად გაუწიოს პოპულარიზაცია ამ რესურსებს სტუდენტებში.
- რეკომენდებულია, გამრავალფეროვნდეს საბიუჯეტო შემოსავლები კლასტერში გაერთიანებული ოთხივე პროგრამის შემთხვევაში (მაგალითად, ადგილობრივი ან საერთაშორისო კვლევითი პროექტებით ან ეროვნული/რეგიონული კერძო სექტორის პარტნიორებთან თანამშრომლობით).
- რეკომენდებულია, რომ სტუდენტურ აქტივობებთან (ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა; სტუდენტური პროექტები და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები გაიზარდოს კლასტერში გაერთიანებულ ოთხივე პროგრამაზე.
- რეკომენდებულია, რომ ბიუჯეტი დაიგეგმოს შემოსავლების შესაბამისად; იმ შემთხვევაში თუკი თანხები არ არის საკმარისი, ნათლად უნდა იყოს დასაბუთებული თუ რა დონეზე გეგმავს დაწესებულება პროგრამების დაფინანსებას და რამდენი ხნით.
- საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია შეხვედრა თითოეული პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, შეფასების მეთოდების ეფექტური გამოყენების თაობაზე, სადაც ყურადღება გამახვილდება შეფასების სხვადასხვა აქტივობის მნიშვნელობის ასახვაზე და განიხილება შესაძლო ცვლილებები.
- რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები (დადებითი/უარყოფითი) მათ ინდივიდუალურად მიეწოდოს წერილობითი ფორმით და ეს პროცესი ფორმალური გახდეს.
- რეკომენდებულია, რომ საუნივერსიტეტო კითხვარები არ იყოს საჯაროდ განთავსებული ვებგვერდზე. ნაცვლად ამისა, კითხვარები შეიძლება დაიგზავნოს სამიზნე ჯგუფებთან, ელექტრონული ფოსტის და/ან სასწავლო საინფორმაციო სისტემის მეშვეობით.
- რეკომენდებულია, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების თვითშეფასების ჯგუფმა პროაქტიულად იმუშაოს, რათა საუკეთესო პრაქტიკის სახით, მოიძიოს მსგავსი პროგრამები მსგავსი დარგებიდან და გამოავლინოს მსგავსებები და განსხვავებები, რათა შემდგომ მოხდეს ამ საუკეთესო პრაქტიკების განხორციელება, ადაპტაციის გზით.

რეკომენდაციები პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა:

- პროგრამის შედეგებთან და მარეგულირებელ დოკუმენტებთან ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, თეორიის ძირითადი ასპექტების შესწავლა უნდა აისახოს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებში.
- სწავლის შედეგების გაზომვადობა და მათი გადამოწმების შესაძლებლობა უფრო მკაფიო უნდა გახდეს.
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ქართული ლიტერატურის ბლოკში, თანამედროვე თეორიები და მიდგომები უნდა აისახოს სასწავლო კურსების სილაბუსებში.
- სასწავლო კურსებზე უნდა გამოსწორდეს მრავალმხრივი ტექნიკური ხარვეზები: გამოიყოს სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურა, ლიტერატურის ნუსხაში მიეთითოს სასწავლო კურსების თემებში მითითებული ნაშრომები. სილაბუსებში მიეთითოს სასწავლო ლიტერატურის შესაბამისი ბმულები.
- რეკომენდებულია, ბიუჯეტში თანხის გაზრდა, ბიბლიოთეკაში საინფორმაციო რესურსების განახლებისთვის, როგორც წიგნების, ასევე აკადემიური ბაზებისთვის, ან სხვა სერვისებისთვის.

რეკომენდაციები პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში:

- მიზნებში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, რომ პროგრამა მიზნად ისახავს ქართველური ენების, კერძოდ, ქართულის, მეგრულ-ლაზური და სვანური ენების შესახებ შესაბამისი ცოდნის მიწოდებას.
- პროგრამა მეგრულ-ლაზური და სვანური ენების გრამატიკის უკვე არსებულ კურსებთან ერთად უნდა მოიცავდეს ქართული გრამატიკის კურსს.
- პროგრამამ უნდა განმარტოს შესაბამისი ტერმინოლოგია ცალკეულ ქართველურ ენებთან დაკავშირებით, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოსა და სწავლის სფეროს კლასიფიკატორის შესაბამისად (0232.2.2 ქართული, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო და სწავლის სფეროს კლასიფიკატორი (0232.2.2 ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება).
- სილაბუსებში რეკომენდებული ლიტერატურა და მასალები უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული კურსების ძირითად შინაარსზე.
- ბიბლიოთეკამ და აკადემიურმა პერსონალმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა, რათა წაახალისონ სტუდენტები, გამოიყენონ ყველა შესაბამისი საინფორმაციო რესურსი, განსაკუთრებით თანამედროვე ციფრული რესურსები.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ პროგრამის ბიუჯეტს ჰქონდეს რისკების მართვის გეგმა, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროგრამის მიწოდებასთან დაკავშირებული რაიმე სერიოზული პრობლემა.

რეკომენდაციები პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

- პროგრამის შედეგებთან და მარეგულირებელ დოკუმენტებთან ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ლიტერატურის თეორიების შესწავლა უნდა აისახოს ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მიზნებში.
- ინდივიდუალურ სასწავლო კურსებში რეკომენდებულია სავალდებულო და არჩევითი კურსების სტატუსის განსაზღვრა კონკრეტული სისტემის მიხედვით.

- რეკომენდებულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტრუქტურების გამიჯვნა, რათა თავიდან იქნას აცილებული სასწავლო კურსების დუბლირება.
- ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში მოსაყვანად უნდა დაინერგოს ლიტერატურის თეორიების სასწავლო კურსი.
- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად უნდა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის, განსაკუთრებით აფილირებული პერსონალის რაოდენობა.
- ბიბლიოთეკამ ხელი უნდა შეუწყოს მაგისტრანტების მიერ მონაცემთა ბაზებისა და სხვა ციფრული რესურსების გამოყენებას. ეს უნდა მოხდეს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშაოს პროგრამის ფინანსური მდგრადობის ხედვა და განხორციელების კონკრეტული გეგმა.
- პროგრამის ბიუჯეტი უნდა იყოს შემუშავებული მინიმუმ ისე, რომ ყველა ხარჯი დაიფაროს შემოსავლებით, ან ცენტრალური ბიუჯეტიდან დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შემთხვევაში, მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული შესაბამისი ზომები.

რეკომენდაციები პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა:

- რეკომენდებულია, კვლევის ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ხელმისაწვდომობის კომპონენტის ასახვა ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის შედეგებში.
- კურსები უფრო კონცენტრირებული იყოს, რაც კვლევაზე ორიენტირებულობას მეტად ცხადს გახდის სილაბუსებშიც.
- კვლევის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით, დოქტორანტმა სამი კვლევითი ნაშრომიდან მინიმუმ ერთი მაინც უნდა გამოაქვეყნოს საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებში ან საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში შემავალ უცხოურ რეცენზირებად ჟურნალებში (EBSCO, SCOPUS, Web of Science, ERIH PLUS).
- რეკომენდებულია, ბიბლიოთეკამ აკადემიურ პერსონალთან ერთად შეიმუშავოს და განახორციელოს დოქტორანტების ტრენინგ მოდულები საცნობარო მართვის სისტემების გამოყენებაში; საკონფერენციო ნაშრომების შედგენაში; კვლევითი ნაშრომის სტრუქტურირებაში და ა.შ. (ანუ აკადემიური წერის საუკეთესო პრაქტიკა).
- ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი ისე, რომ შეიტანოს მასში სტუდენტების სამეცნიერო პუბლიკაციებთან დაკავშირებული ხარჯები (საჭიროებისამებრ).

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

ზოგადი რჩევები კლასტერისთვის

- გაგრძელდეს და გაძლიერდეს კლასტერის რეგიონული ორიენტირება, პროფილის შექმნის გასააქტიურებლად და უნიკალური პოზიციის დასამკვიდრებლად.

- უკეთ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კლასტერში შემავალი პროგრამების კონკრეტული, პროგრამისთვის სახასიათო შინაარსი, რომ შემცირდეს დუბლირება.
- დაინერგოს მეტი შესაძლებლობები ინტერნაციონალიზაციისთვის.
- სილაბუსებზე ფოკუსირებით შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს პროგრამების ერთმანეთისგან გამორჩეულობა.
- ჟურნალი „გულანი“, რომელიც ძალიან კარგი შესაძლებლობაა მიმდინარე კვლევის შედეგების გამოსაქვეყნებლად, მაგალითად დოქტორანტების კვლევების, უნდა იყოს ინდექსირებული Scopus-ში, ERIHplus და/ან Web of Science-ში.
- თითოეული სასწავლო პროგრამის სტუდენტებს უნდა მიეცეთ საშუალება ჩაერთონ ეროვნულ თუ საერთაშორისო პროექტებში თავიანთი ცოდნის, გამოცდილების და უნარების გაუმჯობესების მიზნით.
- სილაბუსებში რეკომენდებულია ქართული სტანდარტული ენის თანმიმდევრული გამოყენება.
- უცხოეთიდან სტუდენტების მოსაზიდად, სასარგებლო იქნება საერთაშორისო სტუდენტების აყვანისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, მაგ. სტუდენტთა საერთაშორისო საინფორმაციო ბაზრობებსა ან განათლების ბაზრობებში მონაწილეობა. ამ კონტექსტში უნდა მოხდეს პროგრამების წინაპირობების გაცნობა.
- გაგრძელდეს და გაძლიერდეს სტუდენტებისთვის შესაფერისი სახელმძღვანელოების, წიგნებისა და მასალების მიწოდებისა და მომზადების კარგი პრაქტიკა.
- საერთაშორისო თანამშრომლობისა და ქსელის გააქტიურებით სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ შეხება ჰქონდეთ სწავლების ახალ ან განსხვავებულ მეთოდებთან, ასევე გაეცნონ ახალ მეთოდოლოგიურ პერსპექტივებსა და მიდგომებს.
- კარგი იქნება, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გრძელვადიანი სტრატეგია, რათა წაახალისოს და დაეხმაროს სტუდენტებს საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობაში. ამ მხრივ უნდა გაუმჯობესდეს ინფორმაცია საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ.
- შეიძლება მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ინტეგრაციის გაზრდა ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში, რითაც გაძლიერდება სტუდენტების კომპეტენციები და ეს ხელს შეუწყობს მათ დამოუკიდებლობას, რაც თავის მხრივ სარგებელს მოუტანს ხელმძღვანელობას.
- სტუდენტების ვიზიტები განათლების საერთაშორისო ბაზრობებზე/სტუდენტების საინფორმაციო ბაზრობებზე უნდა იყოს აქტიურად მხარდაჭერილი უნივერსიტეტის მიერ.
- აკადემიურმა პერსონალმა და კლასტერის პროგრამების ხელმძღვანელებმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა პროექტებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელებისთვის გარე დაფინანსების მისაღებად, რაც შექმნის მაღალი ხარისხის კვლევებისა და პუბლიკაციების ჩატარების და მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების შესაძლებლობას.
- კვლევითი მონოგრაფიების (და არა მარტო ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომების) წარმოების ზრდა შეიძლება იყოს კარგი ნაბიჯი პერსონალის აკადემიური პრესტიჟისა და დონის უზრუნველსაყოფად.
- ხელმძღვანელებმა, განსაკუთრებით მოწვეულმა პერსონალმა, უნდა გააძლიერონ ძალისხმევა მაგისტრანტებისა და დოქტორანტების საერთაშორისო გამოცდილების და ცნობადობის ქსელის გასაუმჯობესებლად.

- სასარგებლო იქნება აკადემიური პერსონალისთვის პროფესიონალური განვითარებისთვის მეტი ტრენინგის შეთავაზება.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, უფრო აქტიურად წახალისდეს, მოტივაცია მიეცეს და დაფინანსდეს აკადემიური პერსონალი, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო პროექტებსა და ღონისძიებებში.
- საერთაშორისო ქსელის დახმარებით შესაძლებელი იქნება სტუდენტებისთვის (და აკადემიური პერსონალისთვის) ხელმისაწვდომი გახდეს რესურსები (როგორიცაა მონაცემთა ბაზები, პუბლიკაციები ან კომპიუტერული ინსტრუმენტები), რომლებიც ამჟამად მიუწვდომელია უნივერსიტეტში.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, თვითშეფასების პროცესში აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა, პროგრამის მიზნების მიღწევა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანი განხორციელება.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და არა მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის პაკეტის წარდგენამდე, რათა თუ არსებობს რაიმე რჩევა და რეკომენდაცია, მათი განხორციელება შესაძლებელი იყოს.

რჩევები პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში:

- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ღონისძიებები ასევე უნდა აისახოს სილაბუსებში.

რჩევები პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ღონისძიებები ასევე უნდა აისახოს სილაბუსებში.

რჩევები პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა:

- დოქტორანტების საერთაშორისო პროექტებში ინტეგრაციის გზით, სწავლის შედეგების ინტერნაციონალიზაციის და კვლევის უნარების განვითარების მოთხოვნების დაკმაყოფილება სულ უფრო მეტად შეიძლება.
- პროგრამაში სასწავლო კურსების მრავალფეროვნება არ არის დასაბუთებული. სასურველია სასწავლო კურსების შემცირება და პროგრამაში ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის მიმართულებით სულ 4 არჩევითი კურსის შეტანა.
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ღონისძიებები ასევე უნდა აისახოს სილაბუსებში.

- შესაძლებელია საერთაშორისო კარიერული პერსპექტივების, ქსელის და კვლევითი პროექტების საერთაშორისო დაფინანსების შესახებ ინფორმაციის მეტად მიწოდება. მაგალითად, ინდივიდუალურმა კონსულტაციამ შეიძლება წაახალისოს სტუდენტები, ისარგებლონ საერთაშორისო შესაძლებლობებით.
- უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს დოქტორანტების სათანადოდ მომზადება მათი შემდგომი დასაქმებისთვის.
- მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს დოქტორანტებისთვის უნივერსიტეტის გარედან მოყვანილი თანახელმძღვანელების ყოლის შესაძლებლობას, ასევე დოქტორანტების სამომავლო კარიერულ პერსპექტივებს.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]

- უნივერსიტეტი აძლევს სტუდენტებს შესანიშნავ შესაძლებლობას, რომ რეგულარული უკუკავშირის მეშვეობით, ხელი შეუწყონ საქმიანობის განხორციელების მუდმივ გაუმჯობესებას: რექტორის ინიციატივით, უნივერსიტეტი ატარებს ყოველთვიურ შეხვედრებს სახელად „რექტორის საათი“, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი აზრები და იდეები აკადემიური სივრცის მოწყობის ან გაუმჯობესების შესახებ და უშუალო კომუნიკაციის გზით განიხილონ რექტორთან. ეს იდეა არა მხოლოდ ინოვაციური და კარგი საშუალებაა, რომ არსებობდეს სწრაფი საკომუნიკაციო არხი შესაძლო სისუსტეებისა და პრობლემების გამოსავლენად, არამედ წარმოადგენს დემოკრატიულ ელემენტსაც უნივერსიტეტში.
- „გულანის“ შეხვედრები და ჟურნალის პუბლიკაციები არის შესანიშნავი შესაძლებლობა აკადემიური კომპეტენციების გაზიარებისა და კლასტერის სფეროში მიმდინარე კვლევების გავრცელებისთვის.

ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

უსდ-ის არგუმენტირებული პოზიცია სრულად გაზიარებულია.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების ანალიზის“ თაობაზე ანგარიშის მიხედვით, წინა აკრედიტაციის პროცესის ყველა შესაბამისი რეკომენდაცია ინტენსიურად იქნა ასახული და მათი უმეტესობა ადეკვატურად განხორციელდა. გარდა ამისა, განხილული და განხორციელებული იქნა მიღწევების რამდენიმე სხვა იდეა. რამდენიმე მაგალითი მოცემულია ქვემოთ:

პროგრამა (1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

[3]პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის რეკომენდაციები უწყვეტ განათლებასთან დაკავშირებით. არსებითად გადაიხედა და გაუმჯობესდა მთელი რიგი სასწავლო კურსებისა.

პროგრამა 2 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამა განახლდა და შემუშავდა საბოლოო (მიმდინარე) ვერსია აფილირებული და მოწვეული აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. ყველა შესაბამისი რეკომენდაცია კარგად არის შესრულებული.

პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)

სასწავლო პროგრამა გაუმჯობესდა პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე. ამ ჭრილში, კურსების სპექტრში ინტეგრირდა რამდენიმე შესაბამისი ახალი კურსი.

პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)

ამ პროგრამის პირობითი აკრედიტაციის გამო, იყო რეკომენდაციების ძალიან დიდი ჩამონათვალი. ეს რეკომენდაციები იყო სისტემატურად გაანალიზებული, ადაპტირებული კონკრეტულ საჭიროებებსა და სიტუაციაზე და სრულად განხორციელდა. ეს ეხება, სხვა საკითხებთან ერთად, შეთავაზებულ კურსებს, სილაბუსებს, ფორმალურ ცვლილებებს, შრომის ბაზრის ანალიზს და ა.შ.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:
აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება [5]

სტანდარტი/კომპონენტი	**შეფასების მიდგომები:**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური

[4] **შეფასების მიდგომები:** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები:** **<u>საჭიროების შემთხვევაში</u>** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კლასტერი შედგება ოთხი საგანმანათლებლო პროგრამისგან: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში, ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა, ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა. აღნიშნული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ეკუთვნის ეროვნული კლასიფიკატორით განსაზღვრულ სასწავლო დარგს 0232 (ლიტერატურა და ენათმეცნიერება).

კლასტერის პროგრამები არსებითად ურთიერთკავშირშია და ერთმანეთზეა აგებული. მიზნების თვალსაზრისით, ისინი ავსებენ ერთმანეთს სწავლების სხვადასხვა დონის შესაბამისად. თუმცა,საჭიროა მიზნების მცირე ოპტიმიზაცია.

კარგად ჩანს კლასტერის მნიშვნელობა რეგიონისთვის. გარდა ამისა, კლასტერის პროგრამების მიზნები ადეკვატურად ასახავს რეგიონის სპეციფიკას და საჭიროებებს და ამგვარად ისინი ასრულებენ შესაბამის როლს უნივერსიტეტის რეგიონთან დაკავშირებული სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. მიზნებში დამაჯერებლად არის რეალიზებული რეგიონული პირობების განხორციელება. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებით რეგიონის განვითარებაში უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, არსებობს რეგიონული საქმიანობის კიდევ უფრო გაძლიერების პოტენციალი.

აღწერა და ანალიზი- პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალვრო პროგრამა)[6]

[6] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

მკაფიოდ არის განსაზღვრული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები. პროგრამის მიზნებია: უახლესი ენათმეცნიერული და ლიტერატურული კვლევების გამოყენებით, სტუდენტებს მიაწოდოს ცოდნა ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ქართული ენის, მისი ქვესისტემებისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის კომპლექსური შესწავლის საფუძველზე; სტუდენტის ენობრივი და ლიტერატურული ანალიზის, კრიტიკული აზროვნების, კომენტირებისა და ინტერპრეტაციის უნარების განვითარება, კვლევის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა; დარგობრივთან ერთად სტუდენტს განუვითაროს ტრანსფერული კომპეტენციები, რაც ხელს შეუწყობს კულტურულ-მსოფლმხედველური მრავალფეროვნების დაფასებას, ეროვნული და საზოგადოებრივი იდეალების ჩამოყალიბებას, ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელობის გააზრებას და ასევე შექმნის წინაპირობას იმავე დარგის მეორე საფეხურზე, მაგისტრატურაში საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის გასაგრძელებლად. პროგრამის მიზნები შეესაბამება ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამის მიზნები ასახავს უნარების შეძენას ფილოლოგიის, მათ შორის ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგებში.

ლიტერატურის თეორიის ძირითადი ასპექტების სწავლების მიზანი და აუცილებლობა არ ჩანს პროგრამის მიზნების ჩამონათვალში, რომლებიც მოცემულია ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებლებსა და საბაკალავრო პროგრამის შედეგებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)

სხვადასხვა თანდართული დოკუმენტების, თვითშეფასების ანგარიშის (SER), სასწავლო გეგმის და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, დადგენილია, რომ ქართველული ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მიზნები კარგად არის ჩამოაყალიბებული და ასრულებს სასწავლო დარგის (ქართველური ენათმეცნიერება), სწავლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს. ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობა აღწერილია, როგორც მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ღრმა ცოდნის მიწოდება ქართველური ენათმეცნიერების, ონომასტიკის, ქართველური ენებისა და მათი დიალექტების, მათი ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურების, ლექსიკოლოგიის აქტუალური პრობლემების შესახებ. როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული, პროგრამის მიზნებში მითითებულია „ქართველური ენათმეცნიერების ყველა მნიშვნელოვანი მიმართულება, რადგან პროგრამას აქვს ამბიცია ხელი შეუწყოს დარგის განვითარებას“. თუმცა, ეს ბოლომდე რეალისტურად არ ჟღერს, პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის გამო: კურსების შერჩევა საკმაოდ მიკერძოებულია, უხვადაა „ინტერდისციპლინური“ და პოლიტიკურად მოტივირებული საგნები, განსაკუთრებით ენისა და დიალექტური მრავალფეროვნების ცნებების აღრევასთან დაკავშირებით. მიზნებში მკაფიოდ არ არის მითითებული, რომ პროგრამა მიზნად ისახავს ქართველური ენების, კერძოდ, ქართულის, მეგრულ-ლაზური და სვანური ენების შესახებ შესაბამისი ცოდნის მიწოდებას.
რაც შეეხება უნარებს, ისინი ჩამოთვლილია შემდეგნაირად: 1) კრიტიკული აზროვნების განვითარება, პრობლემის სიღრმისეული ანალიზი; 2) ლინგვისტური კვლევის მეთოდების ღრმა და სათანადო ცოდნა; 3) თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომის შექმნა.

გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერილობისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელი, საფეხური), პროგრამა 3 (სახელი, საფეხური) და ა.შ. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ მითითების ეს ფორმატი ყოველი მომდევნო კომპონენტის შეფასებისას).

უნარების მსგავსად, კომპეტენციები კარგად არის ჩამოყალიბებული და სამეცნიერო კვლევის განვითარებაზეა ორიენტირებული. აღნიშნულია, რომ პროგრამის მიზნებში არსებული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები სტუდენტს საშუალებას აძლევს გააგრძელოს სწავლა მესამე საფეხურზე.
პროგრამის მიზნები შეესაბამება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს განათლებისა და კვლევის გზით, საკუთარ წვლილზე საზოგადოების განვითარებაში; მისიის მიზანია რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მაღალი ხარისხის აკადემიური ცოდნა ტრადიციული და ინოვაციური მეთოდებით განხორციელებული კვლევების გამოყენებით და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით; მისია მოიცავს არაეთნიკური ქართველი მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის მხარდაჭერას, მაღალზნეობრივი, დემოკრატიული და ადამიანური თაობების აღზრდას.
ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, განახლდა პროგრამა და შემუშავდა მისი საბოლოო ვერსია, აფილირებული და მოწვეული აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.
პროგრამა ხელმისაწვდომია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე; შესაბამისად, ის საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

აღწერა და ანალიზი პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მომდინარეობს ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგის თავისებურებებიდან და შეესაბამება ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ორიენტირებულია შრომის ამჟამინდელ ბაზარზე. ქართული ლიტერატურის ისტორიის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ოთხ პუნქტად. პირველი და მეორე პუნქტები ეხება ქართული ლიტერატურის ისტორიის პრაქტიკულ, თეორიულ და მეცნიერულ საკითხებს, ინტერნაციონალიზაციას და ქართული ლიტერატურის გააზრებას მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. მესამე და მეოთხე პუნქტები ეხება უნარებს, კომპეტენციებს და ღირებულებების დამკვიდრებას. გათვალისწინებულია დარგობრივი და ტრანსფერული უნარები, რომლებიც კურსდამთავრებულმა უნდა განავითაროს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის მიზნები ასევე ასახავს აკადემიური კეთილსინდისიერების კომპონენტებს, რომლითაც კურსდამთავრებულები ხელს უწყობენ საზოგადოების განვითარებას. პროგრამის მიზნები ასახავს ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის, ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურული ურთიერთობების საკითხებს. თუმცა, ლიტერატურის თეორია არასაკმარისად მკაფიოდ არის ჩართული ამ მიზნებში.

აღწერა და ანალიზი- პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ითვალისწინებს და ასახავს უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის უშუალო მიზანია დარგის სპეციალისტების განათლება, რომლებიც შეძლებენ შექმნან ახალი სამეცნიერო ცოდნა ქართულ ფილოლოგიაში, დისერტაციის სახით, რისთვისაც გამოიყენებენ ტრადიციული და ინოვაციური მეთოდოლოგიას და ინტერდისციპლინურ მიდგომებს; რათა ამგვარად გახდეს კონკურენტუნარიანი მკვლევარი, რომელსაც შეუძლია, გაითვალისწინოს ქართული ფილოლოგიის დარგში არსებული გამოწვევები, განახორციელოს პრაქტიკული საქმიანობა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევა სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში, შეძლოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება და

საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება. სადოქტორო პროგრამამ უნდა განავითაროს ის უნარები, რომლებსაც დოქტორანტი წარმატებით გამოიყენებს სამეცნიერო კვლევებში. მათი კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ქართული ფილოლოგიის განვითარებას. ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მიზნები შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საზოგადოების ინტერესებს. უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ დოქტორანტების მთავარი დამსაქმებელი თავად უნივერსიტეტია. სადოქტორო პროგრამა არსებითად არის კვლევაზე ორიენტირებული. დისერტაციის მომზადება მიჰყვება კვლევის ექვსსაფეხურიან, მკაფიოდ სტრუქტურირებულ გზას და თითოეული საფეხური დამაჯერებლად არის დაკავშირებული წინასთან. ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზნები ნათელი და გამჭვირვალეა; ისინი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ქართული ფილოლოგიის სფეროს და სადოქტორო დონეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

○ **თვითშეფასების ანგარიში**

○ **საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი**

○ **კურსის სილაბუსები**

○ **სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

მისია(https://sjuni.edu.ge/%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%90-%e1%83%ae%e1%83%94%e1%83%93%e1%83%95%e1%83%90-%e1%83%a6%e1%83%98%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%91%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%94%e1%83%91/)

○ **ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები**

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

• გაგრძელდეს და გაძლიერდეს კლასტერის რეგიონული ორიენტირება, პროფილის შექმნის გასააქტიურებლად და უნიკალური პოზიციის დასამკვიდრებლად.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

• პროგრამის შედეგებთან და მარეგულირებელ დოკუმენტებთან ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, თეორიის ძირითადი ასპექტების შესწავლა უნდა აისახოს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებში.

რჩევები:

პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

რეკომენდაციები

● მიზნებში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, რომ პროგრამა მიზნად ისახავს ქართველური ენების, კერძოდ, ქართულის, მეგრულ-ლაზური და სვანური ენების შესახებ შესაბამისი ცოდნის მიწოდებას.

რჩევები

პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

● პროგრამის შედეგებთან და მარეგულირებელ დოკუმენტებთან ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ლიტერატურის თეორიების შესწავლა უნდა აისახოს ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მიზნებში.

რჩევები:

პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება[7]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**

[7]შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში(	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

სსიპ სამცხე-ჯავაკლეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კლასტერში შემავალი ოთხი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მხოლოდ ნაწილობრივ არის დაკავშირებული პროგრამებთან და კლასიფიკატორის მახასიათებლებთან, აგრეთვე ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან, რომლებიც შემუშავდა ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურებისთვის. ხარვეზები, უპირველეს ყოვლისა, ეხება ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში თეორიის სწავლებას, ქართველური ენების, კერძოდ, ქართული, მეგრულ-ლაზური და სვანური ენების შესაბამისი ცოდნის მიწოდებას ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაში, ასევე ლიტერატურის თეორიის სწავლებას ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში. ზოგადად, კლასტერში შემავალი თითოეული პროგრამის სწავლის შედეგების უმეტესობა შეესაბამება პროგრამებში გათვალისწინებულ კვალიფიკაციას და განათლების დონეს. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სწავლის შედეგები აღწერილია სამი კომპონენტის მიხედვით: "ცოდნა და გაცნობიერება", "უნარი" და "პასუხისმგებლობა და ავტონომია".

აღწერა და ანალიზი- პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად გაზომვადი და მისაღწევია. მაგრამ სწავლის შედეგების გაზომვადობა და გადამოწმებადობა არ არის ნათლად გამოკვეთილი ყველა შემთხვევაში. პროგრამის სწავლის შედეგები დაჯგუფებულია სამი კომპონენტის მიხედვით: "ცოდნა და გაცნობიერება", "უნარი" და "პასუხისმგებლობა და ავტონომია". პროგრამა დაყოფილია ორ ნაწილად: ქართული ენა და ქართული ლიტერატურის ისტორია.

ქართული ენის ფარგლებში პროგრამის სწავლის შედეგები ასეთია: განიხილავს ენათმეცნიერების ძირითად საკითხებს, მისი კვლევის ობიექტის შესწავლის გზებსა და მეთოდებს, ენათმეცნიერების ახალ მიმართულებებს, დამწერლობის წარმოშობას და ისტორიას. ქართული ენის გრამატიკის ფართო ცოდნის საფუძველზე, რომელიც მოიცავს ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის ძირითადი კანონზომიერებების კრიტიკულ გაგებას, ძველი ქართულის გრამატიკული სტრუქტურის გათვალისწინებით, ხსნის ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითად ეტაპებს, გადმოსცემს თავის ისტორიას. ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიის, დიალექტოლოგიის ძირითადი საკითხების ცოდნის საფუძველზე სტუდენტი იაზრებს ენის ლექსიკურ ერთეულებს, განიხილავს ლინგვისტური კვლევის ასპექტებს, ენის ქვესისტემებს, მის ვარიაციებს, ენის ცვლილებას და მის როლს საზოგადოებაში, მსჯელობს ქართული ენათმეცნიერების ძირითად საკითხებზე დარგობრივი მიდგომით; პრაქტიკაში იყენებს, განმარტავს და გადმოსცემს ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის, ქართული ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიის ძირითად საკითხებს; სტუდენტი პრაქტიკულად იყენებს ქართული ენის სტრუქტურულ კომპონენტებს. პროგრამის სწავლის შედეგები ქართული ლიტერატურის ისტორიის კომპონენტში ასეთია: აღწერს ქართული ლიტერატურის განვითარების პერიოდებსა და ტენდენციებს, მსჯელობს ქართული ლიტერატურის ძეგლებზე, აღწერს ქართული ზეპირმეტყველების პროცესებს, განიხილავს ქართულ ლიტერატურას შესაბამისი კულტურულ-ისტორიული პროცესების კონტექსტში; ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების, ლიტერატურის თეორიის ძირითადი ასპექტების ცოდნაზე დაყრდნობით ხსნის ნაწარმოების მხატვრული და სტრუქტურული სპეციფიკის საკითხებს. აკავშირებს ქართული ლიტერატურის პრობლემებს ლიტერატურულ მიმდინარეობებთან და ანტიკური ლიტერატურის ისტორიასთან, განსაზღვრავს ქართული ლიტერატურის ადგილს მსოფლიო ლიტერატურაში. კითხულობს და აანალიზებს ლიტერატურულ ტექსტს, ახდენს მის ინტერპრეტაციას ისტორიულ-პოლიტიკურ, სოციალურ პროცესებთან და აკავშირებს მსოფლიო ლიტერატურის მიმდინარე პროცესებთან და სხვადასხვა კულტურულ სტილთან. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებლებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

როგორც სასწავლო გეგმიდან, ისე კურსის სილაბუსებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კარგად არის ჩამოყალიბებული ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები; თუმცა, მათი ლოგიკური კავშირი პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს სპეციფიკასთან პრობლემურია. ეს, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია იმასთან, რომ არ არსებობს მკაფიო განცხადება, რომ პროგრამა მიზნად ისახავს სათანადო ცოდნის მიწოდებას ქართველური ენების, კონკრეტულად ქართულის, მეგრულ-ლაზური და სვანური ენების შესახებ. პროგრამაში გამოვლელნილია ექვსი შედეგი; სწავლის შედეგების ჩამონათვალშიც კი არის კლასიფიკატორის საწინააღმდეგო დებულებები, როგორიცაა, მაგალითად, „ქართველური ენა-დიალექტური სტრუქტურა“, „საფუძვლიანად აანალიზებს და გადმოსცემს ქართველურ ენა-დიალექტს“. თუმცა, სწავლის შედეგების ჩამონათვალის ზოგიერთი სხვა ნაწილი საკმაოდ ადეკვატურია, განსაკუთრებით „ენათმეცნიერული კვლევის სხვადასხვა ასპექტების საფუძვლიანად განხილვა, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე და ისტორიული სამხრეთ საქართველოს (მესხეთის) ონომასტიკის ღრმა და სისტემურ ცოდნაზე“. ამაში დიდი წვლილი შეიტანა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. უაღრესად დასაფასებელია, რომ სწავლის შედეგები მოწმობს პატივისცემას „ქართულის, როგორც სახელმწიფო ენისა და უმცირესობების ენების მიმართ, ტოლერანტულია ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ“. პასუხისმგებლობა და ავტონომია ასევე ჩამოთვლილია ძირითად სამიზნე უნარებს შორის. აღსანიშნავია, რომ კლასტერში შემავალი საბაკალავრო პროგრამისგან

განსხვავებით, სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები უფრო მეტად არის ორიენტირებული კვლევით უნარებსა და სამეცნიერო მუშაობაზე.

სწავლის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება კვალიფიკაციის ჩარჩოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორს და აკმაყოფილებს კურსდამთავრებულების პროფესიული დასაქმების მოთხოვნებს; მათი შემუშავება იყო თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აფილირებული და მოწვეული აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ა.შ.).

როგორც ინტერვიუებმა აჩვენა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების გაცნობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებლებს. სწავლის შედეგები ზოგადად გაზომვადი და მიღწევადია. სწავლის შედეგები დაჯგუფებულია სამი კომპონენტის მიხედვით: "ცოდნა და გაცნობიერება", "უნარი" და "პასუხისმგებლობა და ავტონომია". პროგრამის სწავლის შედეგები მიუთითებს, რომ პროგრამის კურსდამთავრებული ავლენს ღრმა და სისტემატურ ცოდნას ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრულ-წარმომადგენლობითი საშუალებებისა და პრინციპების შესახებ, ასევე ძველ ქართულ ლიტერატურასა და მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში, მე-19 და მე-20 საუკუნეებში დაწერილ ნაწარმოებებში მათი გამოვლინებების შესახებ; ღრმად განიხილავს ლიტერატურათმცოდნეობის სხვადასხვა დარგის საკითხებს, საშუალებას აძლევს სტუდენტს უკეთ დახელოვნდეს ლიტერატურის დარგში, აჩვენებს ღრმა და სისტემატურ ცოდნას ქრისტიანული ხელოვნების ძირითადი პრინციპების, კერძოდ, ლიტერატურის, შუა საუკუნეების დამახასიათებელი ნიშნების შესახებ, მე-19, მე-20 და თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის შესახებ, მრავალმხრივ აანალიზებს მათი კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, ღრმად და სისტემატურად აანალიზებს ლიტერატურული ეპოქების მახასიათებლებს (ანტიკური, შუა საუკუნეები, რენესანსი, ბაროკო, კლასიციზმი, რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი) და ადგენს მათ შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს ტიპოლოგიური შედარების საფუძველზე. ხაზს უსვამს მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურულ სპეციფიკას, წარმოაჩენს სისტემატურ ცოდნას ქართული და დასავლური ლიტერატურული აზროვნების განვითარების სფეროში, სისტემატურად აანალიზებს XIX-XX საუკუნეების ლიტერატურის პრობლემებს, მის ურთიერთობას ქრისტიანული მწერლობის პრინციპებთან. სტუდენტი იაზრებს ქართველი ავტორების (შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ქართველი რომანტიკოსები, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე) ადგილს აღმოსავლურ-დასავლური ლიტერატურის კონტექსტში, აანალიზებს მათი მემკვიდრეობის არსებულ ლიტერატურულ-ესთეტიკურ საკითხებს. გამოავლენს კვლევის ცოდნის სფეროში არსებულ პრობლემებს. გარდა ამისა, სტუდენტს უვითარდება დარგობრივი უნარები, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და ა.შ. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტურია და ეფუძნება ქართული ლიტერატურის ისტორიის სფეროს. როგორც ასეთი, შედეგები კარგად ასახავს იმ მიმართულებებს, რომლებზეც არის ორიენტირებული პროგრამა. ისინი აშკარად უკავშირდება ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამას და სრულად შეესაბამება საკვალიფიკაციო დონის მოთხოვნებს.

აღწერა და ანალიზი- პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს სადოქტორო პროგრამის ქართული ფილოლოგიის დარგთან შესაბამის კომპეტენციებს. ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა ორ ნაწილად იყოფა: ლიტერატურათმცოდნეობა და ქართული ენათმეცნიერება. შესაბამისად, სწავლის შედეგები ასახავს ცოდნის გაფართოებას ორივე დარგის უახლეს მიღწევებსა და ინოვაციური მიდგომების გამოყენების შესაძლებლობაზე დაყრდნობით. გარდა ამისა, ასახულია ტრადიციული და ინოვაციური კვლევის მეთოდების გამოყენება, სამეცნიერო კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, დარგობრივი და ინტერდისციპლინურ კვლევების გაძლიერება ქართულ ფილოლოგიასა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში, ახალი ცოდნაზე ორიენტირებული სამეცნიერო და საკვალიფიკაციო სამუშაოების შექმნის უნარის გამომუშავება აკადემიური კეთილსინდისიერების შენარჩუნებით. სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ასევე მოიცავს საერთაშორისო რეცენზირებად პუბლიკაციებში გამოქვეყნებას, სილაბუსების შედგენის უნარ-ჩვევების განვითარებას და ა.შ. სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები არ ასახავს კვლევის ინტერნაციონალიზაციას და საერთაშორისო ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- **კურსის სილაბუსები**
- **თვითშეფასების ანგარიში**
- **ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება**
- **ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები**

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- სწავლის შედეგების გაზომვადობა და მათი გადამოწმების შესაძლებლობა უფრო მკაფიო უნდა გახდეს.

რჩევები:

პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კვლევის ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ხელმისაწვდომობის კომპონენტის ასახვა ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის შედეგებში.

რჩევები:

- დოქტორანტების საერთაშორისო პროექტებში ინტეგრაციის გზით, სწავლის შედეგების ინტერნაციონალიზაციის და კვლევის უნარების განვითარების მოთხოვნების დაკმაყოფილება სულ უფრო მეტად შეიძლება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა:	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი განსაზღვრულია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიური კლასტერი ფასდება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით. სწავლის შედეგების შეფასების პროცესი ხორციელდება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით, შესაბამისი კრიტერიუმების შემოწმებით და სტუდენტის შეფასებით. შესაბამისი მონაცემები ნათლად არის იდენტიფიცირებული, შეგროვებული და მოწოდებული ისე, რომ ისინი იყოს გამჭვირვალე და ღიად ხელმისაწვდომი. კლასტერში ინტეგრირებულ ოთხ პროგრამას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მექანიზმები სწავლის შედეგების შესაფასებლად და გასაზომად. რეალიზაცია დამაჯერებელია და აკმაყოფილებს აუცილებელ სტანდარტებს (ასევე საერთაშორისო დონეზე).

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი- პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა[8]

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა შედგება შეფასების ადეკვატური ფორმებისა და მეთოდებისგან. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ჰუმანიტარულ სფეროს, კერძოდ, ფილოლოგიის სპეციფიკას და ქართული ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგებს. გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასებისას გამოიყენება: სასწავლო კურსების საგამოცდო შეფასება, საბაკალავრო ნაშრომის შეფასება და ა.შ. არაპირდაპირი შეფასებისას: პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება, დამსაქმებელთა გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტების გამოკითხვა. პროგრამის სწავლის შედეგის პირდაპირი შეფასების მეთოდით, საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება არის შეფასებისთვის გამოყენებულ საგანმანათლებლო კომპონენტებებში (სასწავლო კურსი/საბაკალავრო ნაშრომი) მიღებული პროცენტების საშუალო არითმეტიკული. პროგრამის სამიზნე ნიშნები თითოეული სწავლის შედეგისთვის ამ ეტაპზე განსაზღვრულია 70-90%-ით. სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი მოიცავს:

<u>საჭიროების შემთხვევაში</u> აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
აუცილებლობის შემთხვევაში, პროგრამების რაოდენობის მიხედვით, გთხოვთ, დაამატოთ ველების შესაბამისი რაოდენობა (*გთხოვთ, თითოეული კომპონენტის შეფასების შემდეგ გაითვალისწინოთ მითითების ეს ფორმატი).*

სტუდენტების მიერ თვითშეფასებას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას და შედეგების ანალიზს. პროგრამის სამიზნეები განსაზღვრულია თითოეული სწავლის შედეგისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

როგორც სასწავლო გეგმა, ასევე კურსის სილაბუსები გვიჩვენებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ საფუძველზე (მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და პროგრამის წარდგენის სავალდებულო ფორმა; მუხლი 15. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება).
გამოიყენება შეფასების როგორც პირდაპირი (სტუდენტური ნაშრომები, სამაგისტრო ნაშრომები, პრეზენტაციები, ესეები, პორტფოლიო, სიმულაცია, შუალედური და დასკვნითი გამოცდები, ტესტები, სტუდენტების შეფასება ხელმძღვანელის მიერ საველე გამოცდილების დროს და ა.შ.) და არაპირდაპირი (სტუდენტების თვითშეფასება, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები და შედეგების ანალიზები) მეთოდები.
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზები გამოიყენება მისი შემდგომი გაუმჯობესებისთვის, რაც გულისხმობს შინაარსის ან/და სწავლის შედეგების ან/და შეფასების სისტემის ან/და რესურსების ინოვაციას და განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით: არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნები; კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, ქართული ლიტერატურის ისტორიის კონკურენტული ცოდნის გამოვლენა, ქართული ლიტერატურის პრაქტიკული, თეორიული და სამეცნიერო შესწავლა, ქართველი მწერლების მემკვიდრეობის სიღრმისეული ცოდნა, სალიტერატურო ურთიერთობის პრობლემების ცოდნა, განათლების შემდგომ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობა, სამეცნიერო კვლევის შექმნის უნარი და სხვა.

ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს ლიტერატურის ისტორიის დარგს, მის თავისებურებებს, მოიცავს შეფასების შესაბამის და ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს და აფასებს თუ რა დონეზე მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასებისას გამოიყენება: სასწავლო კურსების საგამოცდო შეფასება, კვლევის კომპონენტის შეფასება, სამაგისტრო ნაშრომი, მონაწილეობა კონფერენციებში და ა.შ. არაპირდაპირი შეფასება: პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან დაკვირვება, დამსაქმებელთა გამოკითხვა, აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, კურსდამთავრებულების და სტუდენტების გამოკითხვა. პროგრამის სწავლის შედეგის პირდაპირი შეფასების მეთოდით, საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება არის შეფასებისთვის გამოყენებულ საგანმანათლებლო კომპონენტებებში (სასწავლო კურსი/სამაგისტრო ნაშრომი) მიღებული პროცენტების საშუალო არითმეტიკული. პროგრამის სამიზნე ნიშნები თითოეული სწავლის შედეგისთვის მიმდინარე ეტაპზე განისაზღვრება არანაკლებ 75%-ით (85%-მდე სწავლის შედეგიდან გამომდინარე). სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი მოიცავს: სტუდენტების მიერ თვითშეფასებას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას და შედეგების ანალიზს. სამაგისტრო პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის.

აღწერა და ანალიზი- პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამისთვის უნივერსიტეტმა შეიმუშავა პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის რუკა. სწავლის შედეგები ფასდება ორი ძირითადი კომპონენტის მიხედვით: დისერტაციის შექმნით, რომელიც წარმოადგენს ახალ სამეცნიერო ცოდნას ქართულ ფილოლოგიაში და კონკურენტუნარიანი მკვლევარის მომზადებით, რომელსაც შეუძლია, ქართული ფილოლოგიის სფეროში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, დამოუკიდებელად აწარმოოს პრაქტიკული სამეცნიერო კვლევა სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში, ასწავლოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და რომელსაც შეუძლია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება.

სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასებისას გამოიყენება: სასწავლო კურსების საგამოცდო შეფასება, მათ შორის საკურსო ნამუშევრები, კვლევის კომპონენტის შეფასება, სადისერტაციო ნაშრომი, კონფერენციებში მონაწილეობა და ა.შ. არაპირდაპირი შეფასებისას: პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან დაკვირვება, დამსაქმებელთა გამოკითხვა, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულთა და სტუდენტების გამოკითხვა, სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება და ა.შ.

გამოყენებული შეფასების მექანიზმები სრულად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს, პროგრამის სამეცნიერო და კვლევითი ორიენტაციის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- კურსის სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (მარეგულირებელი დოკუმენტები (13.1.1); სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები (13.1.4))
- სტუდენტების/კურსდამთავრებულების/დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის ფორმები/შედეგები და ინფორმაცია მათი გამოყენების შესახებ.
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება
- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

➢პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

➢პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის კლასტერის სტრუქტურა შეესაბამება მე-7 მუხლის დებულებას, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციას და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის წარდგენის აუცილებელ ფორმას. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება ხდება როგორც ინტერაქტიული პროცესი, რომელიც აერთიანებს ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარეს. პროცესი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ადეკვატურ განვითარებას.

კლასტერში დაკავშირებული პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი ძირითადად სარწმუნოა. კლასტერში შემავალი პროგრამები აზრობრივად ავსებენ ერთმანეთს. თუმცა, ზოგიერთ ნაწილში ვლინდება დუბლირება და ზოგიერთ შემთხვევაში, პროგრამებს შორის საზღვრები საკმარისად კარგად არ არის განსაზღვრული. საერთაშორისო განზომილება ნაკლებად არის წარმოდგენილი.

თეორიული და პრაქტიკული შინაარსი დამაჯერებლად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ემსახურება სტუდენტების კარგად მომზადებას სამომავლო გამოწვევებისთვის და სამუშაო ბაზრისთვის.

აღწერა და ანალიზი- პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტისგან შედგება. პროგრამის სტრუქტურა დაყოფილია სტუდენტის არჩევანის მიხედვით და მოიცავს სწავლის ძირითადი დარგის სავალდებულო და არჩევით კურსებს, თავისუფალი კრედიტების სავალდებულო და არჩევით კურსებს (თუკი დამატებით პროგრამას არ აირჩევს); ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო და არჩევით, დამატებითი პროგრამული და თავისუფალი კრედიტების სავალდებულო კურსებს, რომელთა არჩევა სტუდენტს შეუძლია 60 კრედიტის ფარგლებში. საბაკალავრო პროგრამა შედგება ორი ქვედარგისგან: ქართული ლიტერატურის ისტორია და ქართველური ენათმეცნიერება. პროგრამის ორივე მიმართულებას აქვს თანაბარი რაოდენობის კრედიტები. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისია. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ნაშრომსაც. პროგრამის სტრუქტურა შედგება: თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 39 კრედიტი, ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო სასწავლო კურსებისგან: 125 კრედიტი -ქართული

ენის მიმართულებით 54 კრედიტი; ქართული ლიტერატურის ისტორია 54 კრედიტი, ძირითადი სასწავლო დარგის არჩევითი კურსები - 16 კრედიტი, დამატებითი პროგრამა ან თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსები. პროგრამის სტრუქტურა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით. პროგრამაში შემავალი საგანმანათლებლო კომპონენტი ძირითადად თანმიმდევრულად და ლოგიკურადაა აგებული. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მინიჭებული კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

ქართველურ ენათმეცნიერებაში ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შემუშავებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მე-4 მუხლის (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია) შესაბამისად.
პროგრამის მოცულობა შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი დონის მაჩვენებელს და შედგება 120 ECTS კრედიტისგან. პროგრამა მოიცავს სავალდებულო (ძირითადი სასწავლო დარგი, თავისუფალი კრედიტები) და არჩევით საგანმანათლებლო კურსებს (არჩევითია ძირითადი სასწავლო დარგისთვის). ზოგადად, პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია; თუმცა, ვლინდება გარკვეული შეუსაბამობები: თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ „იმისთვის, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უფრო შესაბამისი იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან - „ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი“, პროგრამის სტრუქტურა მოიცავს დამატებით საგანმანათლებლო სავალდებულო კურსებს, როგორიცაა „სვანური ენის გრამატიკა“ და „მეგრული და ლაზური გრამატიკის თავისებურებები“; სასწავლო პროგრამას აკლია ქართული გრამატიკის კურსი. შესაბამისად, ეს არ შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს (0232.2.2 ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება). აღსანიშნავია, რომ როგორც ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გაირკვა, ყველა აფილირებული პერსონალი არ იყო ინფორმირებული და კმაყოფილი მოცემული გარემოებით.
პროფესორ, დოქტორ მანანა თანდაშვილის (ფრანკფურტის/მაინის უნივერსიტეტი) ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში არის ამ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძლიერი ასპექტი, თუმცა არასაკმარისი.
მთლიანობაში, მისი სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და მისანიჭებელი კვალიფიკაციაც მათთან შესაბამისობაშია.

აღწერა და ანალიზი პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტისგან შედგება. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით კურსებს ძირითად სასწავლო დარგში. პროგრამის სტრუქტურა დაყოფილია შემდეგი კომპონენტების მიხედვით: თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსი - 5 კრედიტი, ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო სასწავლო კურსი არის 55 კრედიტი ძირითადი სასწავლო დარგის არჩევითი კურსი 30 კრედიტი კვლევის კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი. პროგრამის სტრუქტურაში შემავალი ცალკეული საგნების სავალდებულო და არჩევითი სტატუსი არ არის დასაბუთებული ან/და რიგ შემთხვევებში არ არის განმარტებული. მაგალითად, დასავლური და ქართული ლიტერატურული მოდერნიზმი სავალდებულო საგანია, ხოლო ქართული და დასავლური რომანტიზმი

არჩევითი საგანია. ასევე, აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამა შინაარსობრივად და სტრუქტურულად იმეორებს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის საგნებს. მაგალითად, საბაკალავრო პროგრამაზე „ქართული ტროპოლოგია“ („სახისმეტყველება“) და სამაგისტრო პროგრამის „ქართული ლიტერატურის ტროპოლოგიური ასპექტები“, ასევე რუსთაველისა და რუსთველოლოგიის (ბაკალავრიატიდან) კურსი და კურსი „შოთა რუსთაველი აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურის კონტექსტში “ (სამაგისტრო პროგრამა). ზოგიერთი თემა ერთმანეთს ემთხვევა და დუბლირდება შემდეგ სილაბუსებში: მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია 2 (ბაკალავრიატი) და მე-20 საუკუნის ქართული რომანი (მაგისტრატურა). არ არის ნათლად წარმოჩენილი ამ შემთხვევებში შინაარსი მეორდება თუ საფეხურის მიხედვით განსხვავდება. კერძოდ, ბოლომდე არ არის ნათელი, თუ როგორ ავსებს კურსები ერთმანეთს ან ასახავს თუ არა ერთსა და იმავე თემებს სხვადასხვა დონეზე.

აღწერა და ანალიზი- პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა ქართულ ფილოლოგიაში შედგება აკადემიური და უწყვეტი განათლების კომპონენტებისგან. სადოქტორო პროგრამაზე მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ქართული ფილოლოგიის დოქტორი/ქართული ფილოლოგიის დოქტორი, კოდი - 0232 სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამა მოიცავს: საგანმანათლებლო და კვლევით კომპონენტებს. სასწავლო კომპონენტი არის მინიმუმ 40 კრედიტი. სასწავლო კურსები აგებულია შემდეგნაირად: პროფესორის ასისტენტობა 15 კრედიტი, სასწავლო კურსი 15 კრედიტი, რომლებიც იყოფა შემდეგნაირად: სავალდებულო კურსი: სწავლების თანამედროვე მეთოდები 5 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კომპონენტი 10 კრედიტი. სემინარი 10 კრედიტი. სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კომპონენტია კვლევითი ნაშრომი – დისერტაცია. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მინიმალური ხანგრძლივობაა ექვსი სემესტრი (3 წელი). სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ბევრ კურსს, რომლებიც დოქტორანტებმა უნდა აირჩიონ თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე. აქვე აღსანიშნავია, რომ სადოქტორო პროგრამაში არჩევითი სასწავლო კომპონენტის, 10 კრედიტის ფარგლებში 12 სასწავლო კურსია შემოთავაზებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;
- კურსის სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- თვითშეფასების ანგარიში
- ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო და სწავლის სფეროს კლასიფიკატორი
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

- უკეთ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კლასტერში შემავალი პროგრამების კონკრეტული, პროგრამისთვის სახასიათო შინაარსი, რომ შემცირდეს დუბლირება.
- დაინერგოს მეტი შესაძლებლობები ინტერნაციონალიზაციისთვის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)

- **რეკომენდაციები:**
- პროგრამა მეგრულ-ლაზური და სვანური ენების გრამატიკის უკვე არსებულ კურსებთან ერთად უნდა მოიცავდეს ქართული გრამატიკის კურსს.
- პროგრამამ უნდა განმარტოს შესაბამისი ტერმინოლოგია ცალკეულ ქართველურ ენებთან დაკავშირებით, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოსა და სწავლის სფეროს კლასიფიკატორის შესაბამისად (0232.2.2 ქართული, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო და სწავლის სფეროს კლასიფიკატორი (0232.2.2 ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება).

რჩევები:

პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:
- ინდივიდუალურ სასწავლო კურსებში რეკომენდებულია სავალდებულო და არჩევითი კურსების სტატუსის განსაზღვრა კონკრეტული სისტემის მიხედვით.
- რეკომენდებულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტრუქტურების გამიჯვნა, რათა თავიდან იქნას აცილებული სასწავლო კურსების დუბლირება.

რჩევები:

პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის კლასტერის საგანმანათლებლო კურსების შინაარსი ასახულია კურსების სილაბუსებში. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული, ეს სილაბუსები შემუშავებულია უნივერსიტეტში გამოყენებული ზოგადი ინსტრუქციებისა და რეგულაციების შესაბამისად. სილაბუსები, როგორც წესი, იძლევა ადეკვატურ ინფორმაციას კურსების შინაარსის, მეთოდების, მიზნებისა და

სტრუქტურის შესახებ. სილაბუსები სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას სწავლის შედეგებისა და თითოეულ შემთხვევაში მინიჭებული კრედიტების შესახებ. გარდა ამისა, ისინი შეიცავს ინფორმაციას შესაბამისი ლიტერატურის შესახებ.

შეფასებისას ცხადი გახდა, რომ სილაბუსები გარკვეულწილად გაუმჯობესდა და რომ მათი უმეტესობა შეესაბამება სტანდარტების მოთხოვნებს, მაგრამ გარკვეული სისუსტეები მაინც შეინიშნება. ეს განსაკუთრებით ეხება ზოგიერთი სილაბუსების შემთხვევაში, მათი სპეციფიურობის ნაკლებობას ან შესაბამისი ლიტერატურის არაადეკვატურ მითითებას. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში კურსის სათაურები და შინაარსი უნდა შესწორდეს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოსა და სწავლის სფეროს კლასიფიკატორის შესაბამისად. ქართული სტანდარტული ენა ყოველთვის არ გამოიყენება შესაბამის დოკუმენტებში. დაბოლოს, ზოგჯერ, პროგრამების ერთმანეთისგან განსხვავებულობა არ არის საკმარისად წარმოჩენილი.

აღწერა და ანალიზი- პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის 240 კრედიტი დაყოფილია კომპონენტებად. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 39 კრედიტი, ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო სასწავლო კურსები: 125 კრედიტი და ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო სასწავლო კურსები დაჯგუფებულია ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმართულებით. -ქართული ენის მიმართულებით 54 კრედიტი; ქართული ლიტერატურის ისტორია 54 კრედიტი, ძირითადი სასწავლო დარგის არჩევითი კურსები - 16 კრედიტი, დამატებითი პროგრამა ან თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსები. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები შედგება უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ბერძნული, რუსული) ბლოკისგან, ასევე სასწავლო კურსებისგან: აკადემიური წერა, შესავალი ფილოლოგიაში, ინფორმატიკაში, საქართველოს ისტორიაში. ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო კურსები მოიცავს 125 კრედიტს, მათ შორის: შესავალი ქართველოლოგიაში, პრაქტიკული კურსი ლინგვისტური კორპუსის გამოყენებაში, საბაკალავრო ნაშრომი. ასევე, განსაზღვრულია სავალდებულო კურსები 54 კრედიტის ფარგლებში ქართული ენისა თუ ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმართულებით.

აკადემიური წერის კურსი არის თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო საგანმანათლებლო კურსების ბლოკიდან. ეს კურსი სტუდენტებს აძლევს აკადემიური წერის უნარს; თუმცა სილაბუსი შეიცავს ინფორმაციას ზეპირი გამოკითხვის შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რაც სტუდენტებმა დაადასტურეს გასაუბრებისას. ვინაიდან კურსის მიზნები და შედეგები ძირითადად დაკავშირებულია წერის უნარებთან, გამოყენებული უნდა იყოს წერითი უნარების განმავითარებელი აქტივობები. უნივერსიტეტი ასევე იყო საერთაშორისო პროექტის „Integrity“ წევრი და პროექტის შედეგები ხილული უნდა იყოს სილაბუსში: moodle-ის გამოყენება და პლაგიატის პრევენციის პროგრამა Turnitin (რომელიც დანერგილია უნივერსიტეტში).

ქართული ენის ბლოკის სავალდებულო კურსების შინაარსი სრულად არ ასახავს ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებლებს. ინდივიდუალური კურსის სილაბუსები არის მიკერძოებული, უგულებელყოფილია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი. მათი უმეტესობა ცალკეულ ქართველურ ენებს მოიხსენიებს არა როგორც ენებს, არამედ როგორც „ქართველურ ქვესისტემებს“. ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების დროს, ზოგიერთმა ლექტორმა

განმარტა, რომ ეს იყო მათი პოზიცია. არის კურსები, რომლებიც მოიცავს ისეთ თემებს, რომლებიც თითქმის არ შეესაბამება მათ სფეროს. რაც შეეხება სასწავლო მასალებს, სილაბუსების აბსოლუტური უმრავლესობა შეიცავს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის ყოვლისმომცველ ჩამონათვალს, მათ შორის ათეულობით სტატიას, ჟურნალში გამოქვეყნებულ ნაშრომს, საკონფერენციო რეფერატს და მათ შორის ჟურნალისტურ ნაწარმსაც. ადილზე ვიზიტის დროს, ინტერვიუებისას, პროგრამის ხელმძღვანელებმაც და ლექტორებმაც განმარტეს, რომ მათ სურთ ლიტერატურის დიდი არჩევანი შესთავაზონ სტუდენტებს. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული შინაარსთან დაკავშირებული შეუსაბამოები აფერხებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ქართული ლიტერატურის ისტორიის ბლოკში შემავალი საგნების ერთ ნაწილში მითითებულია გასულ საუკუნეში გამოცემული ნაშრომები, რომლებიც დღეს იდეოლოგიურად, თეორიულად და მეთოდურად მოძველებულია. სასწავლო თემები უნდა განახლდეს და ორიენტირებული იყოს ახალ პრობლემებზე.

სასწავლო კურსების ნაწილში უცხოენოვანი წიგნები მითითებულია სავალდებულო ლიტერატურაში, თუმცა არ წარმოადგენს წინაპირობას. სასწავლო კურსების ნაწილში ერთი და იგივე ლიტერატურა გვხვდება როგორც საბაზო, ისე არჩევითი სტატუსით. სასწავლო კურსების ძირითად და დამატებით ლიტერატურულ ნაწილში არის ლიტერატურა, რომელიც არ არის მითითებული კურსის შინაარსში; სასწავლო კურსების ნაწილში ყოველკვირეული თემებისთვის მითითებულია ნაშრომები, რომლებიც არ არის მითითებული ძირითად და არჩევით ლიტერატურაში. სილაბუსის გრაფაში ნახსენები ნაშრომების ელექტრონული ბმულები არ არის რელევანტური. ზოგიერთ სილაბუსში არ არის გამიჯნული რომელია სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში, ქართული ლიტერატურის ბლოკში უნდა განახლდეს საგანიც და ლიტერატურაც.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა კარგად არის სტრუქტურულად აგებული. ჯამური 125 კრედიტიდან, 53 ECTS კრედიტი გამოყოფილია სავალდებულო კურსებზე და 52 ECTS კრედიტი კვლევისა და პრაქტიკისთვის, რაც მოიცავს ლინგვისტური კვლევის მეთოდების, დიალექტოლოგიური და ონომასტიკური საველე პრაქტიკის კურსს (1 და 2), საკურსო ნაშრომს და სამაგისტრო ნაშრომს); დანარჩენი კრედიტები (10 ECTS) არის არჩევით. საათების განაწილება ადეკვატურია.
რაც შეეხება პროგრამის შინაარსს, ინდივიდუალური კურსის სილაბუსები მიკერძოებულია, უგულებელყოფილია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი (0232.2.2 ქართული (ქართველური) ენათმეცნიერება): მათი უმეტესობა ცალკეულ ქართველურ ენებს მოიხსენიებს არა როგორც ენებს, არამედ როგორც „ქართველურ ქვესისტემებს“. ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების დროს, ზოგიერთმა ლექტორმა განმარტა, რომ ეს იყო მათი პოზიცია. არის კურსები, რომლებიც მოიცავს ისეთ თემებს, რომლებიც თითქმის არ შეესაბამება მათ სფეროს (მაგალითად, ქართველური ლექსიკოლოგია). რაც შეეხება სასწავლო მასალებს, სილაბუსების აბსოლუტური უმრავლესობა შეიცავს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის ყოვლისმომცველ ჩამონათვალს, მათ შორის ათეულობით სტატიას, ჟურნალში გამოქვეყნებულ ნაშრომს, საკონფერენციო რეფერატს და მათ შორის ჟურნალისტურ ნაწარმსაც. ადილზე ვიზიტის დროს, ინტერვიუებისას, პროგრამის ხელმძღვანელებმაც და ლექტორებმაც განმარტეს, რომ მათ სურთ ლიტერატურის დიდი არჩევანი შესთავაზონ სტუდენტებს.
აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული შინაარსთან დაკავშირებული შეუსაბამოები აფერხებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

დისციპლინის საერთაშორისო განზომილება არასაკმარისად არის ასახული სილაბუსებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტისგან შედგება. ძირითადი კურსები შეადგენს 55 კრედიტს. პროგრამა ძირითადად ასახავს ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებლებს; თუმცა, პროგრამაში არ არის წარმოდგენილი სასწავლო კურსი, რომელიც შეესაბამება ლიტერატურის თეორიების ღრმა სისტემატურ ცოდნას (3.2.1). ასევე, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სილაბუსში მითითებული ზოგიერთი ლიტერატურა და თემა საჭიროებს გადახედვას; მაგალითად, „გალაკტიონოლოგიის“ კურსში თემები უნდა დალაგდეს იმ ქრონოლოგიის შესაბამისად, რომელიც მიღებულია თანამედროვე გალაკტიონოლოგიაში. ლიტერატურა კი მხოლოდ სამეცნიერო უნდა იყოს, რადგან ერთ-ერთ თემაში მოხსენიებული მემუარები არის ფიქცია (ნიკო წერეთლის მემუარები, რომელიც გამომცემლობა ქარჩხაძის მიერ გამოცემულია, როგორც მოზარდებისთვის განკუთვნილი ზღაპარი). დისციპლინის საერთაშორისო განზომილება არასაკმარისად არის ასახული სილაბუსებში.

აღწერა და ანალიზი- პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ქართულ ფილოლოგიაში შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან. საგანმანათლებლო კომპონენტი შეადგენს 40 კრედიტს და მოიცავს სავალდებულო საგანს: სწავლების თანამედროვე მეთოდებს, პროფესორის ასისტენტობას, დოქტორანტის სემინარს და არაპროფესიულ სასწავლო კურსს 10 კრედიტის მოცულობით, შემოთავაზებულია 12 სასწავლო კურსი, თითოეული 5 ან 6 კრედიტით. სასწავლო კურსები იყოფა ლინგვისტიკად და ლიტერატურათმცოდნეობად. პროგრამაში სასწავლო კურსების მრავალფეროვნება არ არის დასაბუთებული. სასურველია სასწავლო კურსების შემცირება და პროგრამაში ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის მიმართულებით სულ 4 არჩევითი კურსის ჩეტანა. საერთაშორისო ასპექტები არასაკმარისად არის ასახული სილაბუსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- კურსის სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- თვითშეფასების ანგარიში
- ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო და სწავლის სფეროს კლასიფიკატორი
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა კონცენტრირებული უნდა იყოს მონოგრაფიებზე და არა უამრავ ჟურნალსა და საკონფერენციო ნაშრომების აბსტრაქტებზე.
- კურსის სათაურები და შინაარსი უნდა შესწორდეს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სილაბუსებზე ფოკუსირებით შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს პროგრამების ერთმანეთისგან გამორჩეულობა.
- სილაბუსებში რეკომენდებულია ქართული სტანდარტული ენის თანმიმდევრული გამოყენება.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ქართული ლიტერატურის ბლოკში, თანამედროვე თეორიები და მიდგომები უნდა აისახოს სასწავლო კურსების სილაბუსებში.
- სასწავლო კურსებზე უნდა გამოსწორდეს მრავალმხრივი ტექნიკური ხარვეზები: გამოიყოს სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურა, ლიტერატურის ნუსხაში მიეთითოს სასწავლო კურსების თემებში მითითებული ნაშრომები. სილაბუსებში მიუთითეთ სასწავლო ლიტერატურის შესაბამისი ბმულები.

რჩევები:

პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)

რეკომენდაციები:

- სილაბუსებში რეკომენდებული ლიტერატურა და მასალები უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული კურსების ძირითად შინაარსზე.

რჩევები:

- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ღონისძიებები ასევე უნდა აისახოს სილაბუსებში.

პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

- ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში მოსაყვანად უნდა დაინერგოს ლიტერატურის თეორიების სასწავლო კურსი.

რჩევები:

- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ღონისძიებები ასევე უნდა აისახოს სილაბუსებში.

პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)

რეკომენდაციები:

- კურსები უფრო კონცენტრირებული იყოს, რაც კვლევაზე ორიენტირებულობას მეტად ცხადს გახდის სილაბუსებშიც.

რჩევები:

- პროგრამაში სასწავლო კურსების მრავალფეროვნება არ არის დასაბუთებული. სასურველია სასწავლო კურსების შემცირება და პროგრამაში ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის მიმართულებით სულ 4 არჩევითი კურსის ჩეტანა.
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ღონისძიებები ასევე უნდა აისახოს სილაბუსებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა	☐	☐	☒	☐

ქართველურ ენათმეცნიერებაში)				
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა-

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი მიღების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას, სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვინაიდან ქართული ფილოლოგიის კლასტერში ინტეგრირებულ თითოეულ პროგრამას აქვს თავისი შესაბამისი მოთხოვნები, პროგრამაზე მიღების სხვადასხვა სახეები მოქმედებს. წარმატებული სწავლისთვის განკუთვნილი მოთხოვნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და ჩამოყალიბებული კლასტერში არსებული პროგრამების სპეციფიკური საჭიროებიდან გამომდინარე. მოთხოვნები სათანადო

და ობიექტურია. შეფასების პროცესში როგორც გამოჩნდა და ასევე როგორც თვითშეფასების ანგარიშში იყო მითითებული, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები თავისუფლად ხელმისაწვდომია, არის გამჭვირვალე და სამართლიანი. ადეკვატურად არის გათვალისწინებული როგორც მოქალაქეობის მქონე, ისე საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვა. თუმცა, უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად საჭირო ჩართულობა საერთაშორისო დონეზე, არასაკმარისად არის გათვალისწინებული. სასარგებლო იქნება საერთაშორისო სტუდენტების აყვანისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, მაგ. სტუდენტთა საერთაშორისო საინფორმაციო ბაზრობებსა ან განათლების ბაზრობებში მონაწილეობა. ამ კონტექსტში უნდა მოხდეს პროგრამების წინაპირობების გაცნობა.

აღწერა და ანალიზი- პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები არის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და სამართლიანი.
ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შეუძლიათ საქართველოსა და უცხო ქვეყნების მოქალაქეებს. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელი პირი (საქართველოს მოქალაქე), რომელმაც ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები შემდეგ საგნებში: უცხო ენა, ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია და მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე მოიპოვა საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება, უფლებამოსილია ისწავლოს ამ პროგრამაზე. უნივერსიტეტში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ აბიტურიენტმა დაწესებულების მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია უნივერსიტეტში. აბიტურიენტები, რომლებიც არიან სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმატებით ჩააბარებენ სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე უნარების გამოცდას, ასევე აფხაზურ ან ოსურ ენაზე, და წარმატებით გაივლიან ქართული ენის მოსამზადებელ პროგრამას (60 კრედიტი) და მოიპოვებენ შესაბამის სერთიფიკატს, უფლება აქვთ ჩაირიცხონ საბაკალავრო პროგრამებზე.
უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ქართული ენის ცოდნა B1+/B2 დონეზე სწავლის აუცილებელი პირობაა, რადგან პროგრამა ისწავლება ქართულ ენაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეები წარადგენენ ქართული ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ან გადიან გასაუბრებას ქართულ ენაზე (ინტერვიუს ვიდეო ჩანაწერი განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე). უცხო ქვეყნების მოქალაქეებს სერთიფიკატის აღება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრში შეუძლიათ, უცხოელებისთვის ქართულ ენის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
შეიძლება ითქვას, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამებზე მიღების წინაპირობები და პროცედურები არის სათანადო, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში, მისი სწავლის შედეგების მისაღწევად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული საბუთებისა და ადგილზე ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების

მკაფიოდ ჩამოყალიბებულ წინაპირობებს. საერთო კრიტერიუმებთან ერთად, დაკონკრეტებულია ის თუ რომელ დარგში უნდა ფლობდეს ხარისხს აპლიკანტი, პროგრამაზე ჩასაბარებლად.
სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს მისაღები პროცედურის დეტალურ, ეტაპობრივ აღწერას, საერთაშორისო სტუდენტებისა და მობილობისთვის განკუთვნილი სპეციალური რეგულაციების ჩათვლით. შიდა მისაღები გამოცდა ტარდება სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები პროცედურის განრიგის შესაბამისად. ინფორმაცია მისი თარიღის, დროისა და ადგილმდებარეობის შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე; სასწავლო პროცესის მართვის ოფისი პასუხისმგებელია გამოცდის ლოჯისტიკურ მხარდაჭერაზე.
შეიძლება ითქვას, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამებზე მიღების წინაპირობები და პროცედურები არის სათანადო, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაში, მისი სწავლის შედეგების მისაღწევად.

აღწერა და ანალიზი პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული საბუთებისა და ადგილზე ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სასწავლო გეგმა ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების მკაფიოდ ჩამოყალიბებულ წინაპირობებს. საერთო კრიტერიუმებთან ერთად, დაკონკრეტებულია ის თუ რომელ დარგში უნდა ფლობდეს ხარისხს აპლიკანტი, პროგრამაზე ჩასაბარებლად.
სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს მისაღები პროცედურის დეტალურ, ეტაპობრივ აღწერას, საერთაშორისო სტუდენტებისა და მობილობისთვის განკუთვნილი სპეციალური რეგულაციების ჩათვლით. შიდა მისაღები გამოცდა თარდება სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები პროცედურის განრიგის შესაბამისად. ინფორმაცია მისი თარიღის, დროისა და ადგილმდებარეობის შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე; სასწავლო პროცესის მართვის ოფისი პასუხისმგებელია გამოცდის ლოჯისტიკურ მხარდაჭერაზე.
შეიძლება ითქვას, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამებზე მიღების წინაპირობები და პროცედურები არის სათანადო, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაში, მისი სწავლის შედეგების მისაღწევად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა დარგობრივი კვალიფიკაციის არსებობა შემდეგ მიმართულებებში:

0111 განათლების მეცნიერება (0114.1.1 განათლება ქართულ ენასა და ლიტერატურაში და საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის განათლებაში);
0231 ენის დაუფლება;
0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა;
0239 ენები - არაკლასიფიცირებული (0239.1.1 კავკასიოლოგია)

0288 ინტერდისციპლინური, (0288.1.2 ციფრული ჰუმანიტარია, 0288.1.3 კულტურული მემკვიდრეობის კვლევები)
0314 სოციოლოგია და კულტუროლოგია (0314.1.1 სოციოლოგია, 0314.1.4 კულტუროლოგია, 0314.1.6 ეთნოლოგია; 0314.2.1 სოციალური და კულტურული კვლევები; 0314.2.2 კონფლიქტოლოგია);
0388 ინტერდისციპლინური (0388.2.3 კავკასიური კვლევები; 0388.2.4 ევრაზიული და კავკასიური კვლევები).

დოქტორანტმა უნდა იცოდეს ინგლისური ენა მინიმუმ B2 დონეზე. უცხოენოვანი დოქტორანტმა, რომელსაც სურს ისწავლოს ქართულ ენაზე, უნდა იცოდეს ქართული ენა მინიმუმ B2 დონეზე. ინგლისური/ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ან გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ ხდება სადოქტორო განაცხადის განხილვა და შემდგომ, სპეციალობაში ზეპირი საკონკურსო გამოცდა.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის თანახმად, დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოური უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს. პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ისეთ სპეციალობაში, რომელიც განსხვავდება სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს რეგულაციების 2.2. მუხლში დაკონკრეტებული სასწავლო სფეროსგან, უფლებამოსილია ისწავლოს დოქტორანტურაში.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა დოქტორანტის საკვლევი განაცხადის წარდგენა, რომელიც წარმოადგენს მომავალი სადოქტორო დისერტაციის კვლევის კონცეფციას. კვლევის განაცხადი საშუალებას იძლევა მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული სტუდენტების ინტერესი, რათა შეფასდეს სტუდენტის პროგრამაზე სწავლის მზაობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- კურსის სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
-

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

- უცხოეთიდან სტუდენტების მოსაზიდად, სასარგებლო იქნება საერთაშორისო სტუდენტების აყვანისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, მაგ. სტუდენტთა

საერთაშორისო საინფორმაციო ბაზრობებსა ან განათლების ბაზრობებში მონაწილეობა. ამ კონტექსტში უნდა მოხდეს პროგრამების წინაპირობების გაცნობა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო
და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები ძირითადად ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში არსებითი კომპონენტებია საკვალიფიკაციო ნაშრომები: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო, აგრეთვე პრაქტიკა ცალკე კურსად/კურსებად, თეორიულ კურსებთან დაკავშირებული პრაქტიკა, კვლევა და მუშაობა ლინგვისტური კორპუსის გამოყენებით თანამედროვე მეთოდებით, კორპუსის ლინგვისტიკის ინტერდისციპლინური კვლევები და ა.შ. პრაქტიკულ ნაწილად საველე კვლევების ჩართვა განსაკუთრებით დასაფასებელია. ასევე, გათვალისწინებულია კლასგარეშე აქტივობები: მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში და ა.შ. საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად შეიძლება გამოვლინდეს ჟურნალი „გულანი“. ეს ჟურნალი ძალიან კარგი შესაძლებლობაა მიმდინარე კვლევის შედეგების გამოსაქვეყნებლად, მაგალითად დოქტორანტების კვლევების გამოსაქვეყნებლად, ამიტომაც უნდა იყოს ინდექსირებული Scopus-ში, ERIHplus და/ან Web of Science-ში. გასაუბრების შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროექტების კუთხით სტუდენტების გამოცდილების გაუმჯობესება შესაძლებელია, მაგ. მათი ცოდნის, გამოცდილების და უნარების გადამზადების მიზნით, ეროვნულ ან საერთაშორისო პროექტებში ჩართვით.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაში დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს დისერტაცია, ამასთან ერთად გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია კვლევის სფეროში, მათ შორის ერთი სტატია მაინც უნდა იყოს გამოქვეყნებული ან მიღებული რეცენზირად/ რეფერირებად (რასაც ადასტურებს შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორი ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტი) ელექტრონულ ან/და ბეჭდურ ჟურნალში, ან გამოქვეყნებული იყოს საზღვარგარეთ შესაბამისი დარგის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოქვეყნებული საერთაშორისო კონფერენციის მასალებში. იმავდროულად, დოქტორანტს მოეთხოვება. ეს არის დისერტაციის შეფასების პროცესის

ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს, რომ დოქტორანტი უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან მინიმუმ ერთ-ერთ მოთხოვნას:

ა) დოქტორანტს ჰყავს უცხოელი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;

ბ) ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უზრუნველყოფს დოქტორანტის გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად წარდგენილი სადისერტაციო თემის შესახებ სტატიის ან შემოკლებული ვერსიის (30-45 გვერდი) საერთაშორისო რეცენზიას;

გ) უცხო ენაზე თარგმნილი ნაშრომის შემოკლებული ვერსიის (30-45 გვერდი) გაგზავნა მოწინავე უცხოურ უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში, უკუკავშირის/შეფასების მისაღებად. ამ უნივერსიტეტების/ცენტრების ნუსხა შექმნილია სადისერტაციო საბჭოს მიერ.

დ) საერთაშორისო კონფერენციაში/სიმპოზიუმში/კონგრესში მონაწილეობა. მნიშვნელოვანია, რომ დოქტორანტურის კვლევის ინტერნაციონალიზაციის კუთხით გათვალისწინებული იყოს დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომის, ასევე ქართული ფილოლოგიის სფეროს, საერთაშორისო ხელმისაწვდომობა და საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობებში ჩართვა.

ყოველივე ეს შეესაბამება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულებით სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს დებულებას. აუცილებელია სადოქტორო კვლევის ინტერნაციონალიზაცია დაფუძნებული იყოს საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად და რეცენზირებად პუბლიკაციებში გამოქვეყნებაზე. ჩანს საჭიროება, რომ დოქტორანტმა სამი კვლევითი ნაშრომიდან მინიმუმ ერთი მაინც უნდა გამოაქვეყნოს საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებში ან საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში შემავალ უცხოურ რეცენზირებად ჟურნალებში (EBSCO, SCOPUS, Web of Science, ERIH PLUS).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები
- ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, მიღების წინაპირობა
- ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა, მიღების წინაპირობები; მისაღები დოკუმენტი
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სამაგისტრო პროგრამის, სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება, სადისერტაციო საბჭოს და საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის და სადისერტაციო საბჭოს დებულებები
- სადოქტორო პროგრამაზე მიღების წესი
- სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი
- სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

- მარეგულირებელი დოკუმენტები - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია და პროგრამის წარდგენის საჭირო ფორმა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მე-6 მუხლი. სსიპ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; 13.4. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები
- სტუდენტების/ კურსდამთავრებულების/ დამსაქმებლების/პერსონალის გამოკითხვის ფორმები/შედეგები და ინფორმაცია მათი გამოყენების შესახებ
- სწავლის შედეგების შეფასება
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა (ადგილზე).
- https://sjuni.edu.ge/%e1%83%99%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%a4%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98-2/
- თვითშეფასების ანგარიში დანართი, ექსელი 1

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

- ჟურნალი „გულანი“ , რომელიც ძალიან კარგი შესაძლებლობაა მიმდინარე კვლევის შედეგების გამოსაქვეყნებლად, მაგალითად დოქტორანტების კვლევების, უნდა იყოს ინდექსირებული Scopus-ში, ERIHplus და/ან Web of Science-ში.
- თითოეული სასწავლო პროგრამის სტუდენტებს უნდა მიეცეთ საშუალება ჩაერთონ ეროვნულ თუ საერთაშორისო პროექტებში თავიანთი ცოდნის, გამოცდილების და უნარების გაუმჯობესების მიზნით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)

რეკომენდაციები:

- კვლევის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით, დოქტორანტმა სამი კვლევითი ნაშრომიდან მინიმუმ ერთი მაინც უნდა გამოაქვეყნოს საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებში ან საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში შემავალ უცხოურ რეცენზირებად ჟურნალებში (EBSCO, SCOPUS, Web of Science, ERIH PLUS).

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების

გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

ქართული ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებულ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში გამოყენებულია სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომა და სწავლის მეთოდი, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე პროფესორთან ერთად, მიიღოს აქტიური მონაწილეობა საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობების შექმნაში, იყოს თავდაჯერებული და შემოქმედებითი. ქართული ფილოლოგიის კლასტერის პროგრამების სწავლის მეთოდი სტუდენტებს საშუალებას აძლევს მოიძიონ და შეაგროვონ ახალი ინფორმაცია, შეადარონ ძველი და ახალი ცოდნა, გამოიტანონ დასკვნები და იფიქრონ დამოუკიდებლად, ააგონ ცოდნა, მოახდინონ ფაქტების, მოვლენებისა და ცნებების ანალიზი და ინტერპრეტაცია.

უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტის მრავალფეროვან როლს: აქტიური სტუდენტი, მკვლევარი სტუდენტი, დამოუკიდებელი სტუდენტი, სტუდენტი - გუნდის წევრი, სტუდენტი მკვლევარი და ა.შ. შესაბამისად, სწავლების მეთოდები განისაზღვრება სტუდენტების პირობითი როლებიდან გამომდინარე და არის სტუდენტზე ორიენტირებული. ქართული ფილოლოგიის კლასტერის სწავლის დონის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების განსაზღვრისას გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსები. სწავლებისა და სწავლის მეთოდების შერჩევისას, პრობლემაზე დაფუძნებული და კვლევაზე დაფუძნებული მიდგომები ძლიერდება ბაკალავრიატიდან დოქტორანტურამდე. მეთოდების შერჩევისას, გათვალისწინებულია სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები. ეს ინტერესები და საჭიროებები განსხვავდება დონის მიხედვით, რაც გამოიხატება მეთოდების ინტენსივობით. მეთოდები შეიძლება იყოს განსხვავებული ერთი დონის შიგნით და ასეთ შემთხვევაში ალტერნატიული მეთოდები ითვალისწინებს სწავლის პროცესში ყველა სახის საჭიროებისა და ინტერესების მქონე სტუდენტის ჩართულობის უზრუნველყოფას. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები სტუდენტს ინტენსიურად სწავლის შესაძლებლობას აძლევს. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა შეიმუშაონ ინდივიდუალური პროგრამა აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე. ეს არის შესაძლებლობა და არა ვალდებულება. უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო პროექტებში, რომლის ფარგლებშიც, კლასტერში შემავალ პროგრამებში დანერგილია ახალი სასწავლო კურსები და სწავლების თანამედროვე ელექტრონული და ტექნოლოგიური მეთოდოლოგიები. ამ პოტენციალის ათვისება კიდევ უფრო მეტად შეიძლებოდა.

განსაკუთრებით საყურადღებო და დასაფასებელია ის ფაქტი, რომ სტუდენტებისთვის მზადდება შესაბამისი ინსტრუქციები, სახელმძღვანელოები და მასალები. ეს მიდგომა უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს. გარდა ამისა, შეფასების პროცესში აშკარად გამოვლინდა სასწავლო პროგრამებში პრაქტიკული ნაწილის ფართო გათვალისწინება. განსაკუთრებით დასაფასებელია ეს შესაბამისი კავშირი თეორიულ და პრაქტიკულ მეთოდებს შორის. ციფრული სწავლების მეთოდების დანერგვა (მაგ. Moodle) არის საერთაშორისო დონეზე და სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლების მოთხოვნებს.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც
თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

- გაგრძელდეს და გაძლიერდეს სტუდენტებისთვის შესაფერისი ინსტრუქციების, სახელმძღვანელოებისა და მასალების მიწოდებისა და მომზადების კარგი პრაქტიკა.
- საერთაშორისო თანამშრომლობისა და ქსელის გააქტიურებით სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სწავლების ახალ ან განსხვავებულ მეთოდებს, ასევე გაეცნონ ახალ მეთოდოლოგიურ პერსპექტივებს და მიდგომებს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ლიტერატურის ისტორია

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4, სადოქტორო პროგრამა - ქართული ფილოლოგია

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

პროგრამების აკრედიტაციის ფარგლებში, პროგრამებში ჩართული სტუდენტები შეფასდებიან შეფასების სისტემით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესით.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების თითოეული სასწავლო სილაბუსი გულისხმობს სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასებას შუალედური და დასკვნითი შეფასებების გამოყენებით, რომელთა ჯამი სტუდენტს აძლევს საბოლოო შეფასების მაქსიმუმ 100 ქულას. სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი წესით, წინასწარ იწერება თითოეული კურსის სილაბუსში და

ხელმისაწვდომია MOODLE-ის პლატფორმაზე. სილაბუსებში დეტალურადაა აღწერილი ქულების განაწილება, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

გამოკითხვის ფორმები განსაზღვრულია სილაბუსებში: პრეზენტაცია, არგუმენტირებული ესე, სამუშაო ჯგუფში აქტივობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვა. მინიმალური კომპეტენციის დონე, შეფასების კრიტერიუმები, შეფასების მინიმალური ქულები და წინაპირობები ინდივიდუალურია თითოეული სილაბუსისთვის.

კრედიტი სტუდენტს ეძლევა მხოლოდ დადებითი შეფასების შემთხვევაში. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტს ენიშნება დამატებითი გამოცდა კურსის გასაუმჯობესებლად. დამატებით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, კურსი არ ითვლება დახურულად და სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, გაიაროს სასწავლო კურსი მომდევნო სემესტრში.

პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტიდან, ასევე ჩატარებული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესის განმავლობაში სტუდენტს საშუალება ეძლევა აკადემიურ პერსონალთან განიხილოს თავისი მიღწევები და მათი გაუმჯობესების გზები. მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ შეფასება. („სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ მე-17 მუხლი - გამოცდების ჩატარების ერთიანი წესი, პუნქტი 12, 12.1-12.2 ქვეპუნქტები და პუნქტი 13 - სადავო გამოცდის შედეგებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება). ამასთან, შეფასების გასაჩივრების ტექნიკური შესაძლებლობა ეძლევა სტუდენტს ონლაინ, სტუდენტთა მონაცემთა ბაზაში და უნივერსიტეტში დეკანის სახელზე დაწერილი განცხადების მეშვეობით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სტუდენტების შეფასების კრიტერიუმები მკაცრია. სასწავლო წლის დასაწყისში, კურსის მასწავლებელი აცნობს სტუდენტებს სწავლა-სწავლებისა და შეფასების სისტემასა და სტანდარტებს. წერილობითი ნაშრომებისთვის (საბაკალავრო ნაშრომი, აბსტრაქტი) განსაზღვრულია ციტირების სტანდარტების ფორმა - ჩიკაგოს სტილი.

სტუდენტების შეფასებაში გამოიყენება აკადემიური და კვლევის ეთიკა, აკადემიური კეთილსინდისიერება, პლაგიატის პრევენცია, გამოვლენა და რეაგირების მექანიზმები. გარდა ამისა, ყველა წერილობითი ნამუშევარი მოწმდება პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამით: Turnitin-ით. Turnitin-ის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკადემიური წერის კურსში. როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, ის ნამდვილად გამოიყენება, მაგრამ სილაბუსშიც უნდა იყოს აღნიშნული.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების საფუძველზე ასევე დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და თანამშრომლები სისტემატურად აანალიზებდნენ შეფასების შედეგებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად საჭირო აქტივობების განსახორციელებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- მარეგულირებელი დოკუმენტები - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ლიტერატურის ისტორია

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4, სადოქტორო პროგრამა - ქართული ფილოლოგია

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერის სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ

განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს

მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს სტუდენტების განვითარებაზე ორიენტირებული სხვადასხვა სერვისები. კლასტერში შემავალი პროგრამების სტუდენტები იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე, პროექტებსა და მათთვის საინტერესო აქტივობებზე.
უნივერსიტეტი იყენებს უნივერსიტეტის ვებგვერდს ინფორმაციის პირველწყაროდ. ასევე, სიახლეები სტუდენტებს ეგზავნება სტუდენტური პორტალის - MOODLE-ის საშუალებით. ეს არის სტუდენტების ინფორმირების თანამედროვე, მარტივი, სწრაფი და შესაბამისი გზა. გარდა ამისა, სტუდენტების მიერ არჩეული კურსები, სილაბუსები და სასწავლო მასალის ნაწილი განთავსებულია იმავე პლატფორმაზე.
სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ინტერვიუებმა ნათლად აჩვენა, რომ უნივერსიტეტის ყველა უწყება მზადაა საჭიროების შემთხვევაში გაუწიოს სტუდენტებს შესაბამისი კონსულტაცია. უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა კონსულტაციის მკაფიო პასუხისმგებლობა. დადებითად აღინიშნა, რომ სტუდენტებს ყოველთვის შეუძლიათ მიიღონ უკუკავშირი განსაზღვრული საკონსულტაციო საათების მიღმა. სტუდენტებს დაუბრკოლებლად შეუძლიათ მიიღონ დამატებითი კონსულტაციები მნიშვნელოვან აკადემიურ საკითხებზე. გარდა ამისა, სტუდენტები იღებენ უწყვეტ უკუკავშრს იმის შესახებ, თუ როგორ გააუმჯობესონ აკადემიური მოსწრება გაკვეთილზე და მის შემდეგ.
რექტორის ინიციატივით, უნივერსიტეტი ატარებს ყოველთვიურ შეხვედრებს „რექტორის საათი“, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი აზრები და იდეები აკადემიური სივრცის მოწყობის ან გაუმჯობესების შესახებ და უშუალო კომუნიკაციის გზით განიხილონ ეს საკითხები რექტორთან.
უნივერსიტეტს აქვს სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის კარიერული სერვისი. თუმცა, უნივერსიტეტის სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასარგებლო იქნება ამ სერვისის გაუმჯობესება. მაგალითად, მსოფლიოში საუკეთესო მოდელებზე დაყრდნობით, სერვისი შეიძლება დაეხმაროს სტუდენტებს იმუშაონ პირად რეზიუმეებზე, დააკავშიროს ისინი დამსაქმებლებთან, განუვითაროს დასაქმების ბაზარზე საჭირო სხვადასხვა უნარები.
სტუდენტებს ეძლევათ ძირითადი ინფორმაცია გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო პროექტების შესახებ, და უნივერსიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება მათ კონკურსში მონაწილეობის ყველა დეტალის ორგანიზებაში. თუმცა, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ მათ ნაკლებად სურთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. სიტუაციის გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტმა აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი ისეთ ინიციატივებს, როგორიცაა სტუდენტების ვიზიტები განათლების საერთაშორისო ღონისძიებებზე/სტუდენტთა საინფორმაციო ღონისძიებებზე.
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ყველა პირობა, რომელიც საჭიროა ადგილობრივი სტუდენტების საერთაშორისო უნივერსიტეტებში მობილიზებისთვის. უნივერსიტეტს აქვს საჭირო კავშირები და მემორანდუმები იმისთვის, რომ დაეხმაროს სტუდენტებს ჩაერთონ სხავადასხვა პროექტებში. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს გრძელვადიანი სტრატეგია, რათა წაახალისოს სტუდენტები მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში.
გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაირკვა, რომ უნივერსიტეტი ამოწმებს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხს ყოველი სემესტრის ბოლოს კონკრეტული კითხვარების მეშვეობით. გამოკითხვები ანონიმურია და საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოთქვან უკუკავშირი კურსის შესახებ.

უნივერსიტეტს აქვს არასასურველი შეფასებების გასაჩივრების მექანიზმები. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესურსები აკმაყოფილებს ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლების შესაბამის სტანდარტებს. სტუდენტებს აქვთ მარტივი წვდომა მათთვის საჭირო ყველა სასწავლო მასალაზე.
სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ. უნივერსიტეტმა შეიმუშავა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (სჯსუ) პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების რეგულაცია (აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბრის დადგენილება N39, ოქმი N9).

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

ქართული ფილოლოგიის დოქტორანტებს წვდომა აქვთ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა სერვისზე; თუმცა, დოქტორანტურის დონის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია დოქტორანტების საჭიროებების განხილვა.
ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ უნივერსიტეტს აქვს წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე, რომლითაც სარგებლობა ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია. ამიტომ, უნივერსიტეტმა უნდა დაგეგმოს სპეციალური ტრენინგები/სამუშაო შეხვედრები, სადაც დოქტორანტებს დაეხმარებიან უფრო მეტად გამოიყენონ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომის შესაძლებლობა თავიანთ კვლევაზე მუშაობის დროს. ასევე შეიძლება გაუმჯობესდეს ინფორმაცია საერთაშორისო კარიერის პერსპექტივების, საერთაშორისო პროექტებისა და დაფინანსების შესახებ.
უნივერსიტეტმა შეიმუშავა სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს დებულება (25.12.2013, ოქმი N. 14, დადგენილება N. 6), სადაც დეტალურად არის აღწერილი დისერტაციის მომზადებასა და დაცვასთან დაკავშირებული საკითხები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- კარგი იქნება, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გრძელვადიანი სტრატეგია, რათა წაახალისოს და მხარი დაუჭიროს სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში. ამ ფარგლებში, უნდა გაუმჯობესდეს ინფორმაციის მიწოდება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ.

- სტუდენტების ვიზიტები განათლების საერთაშორისო ბაზრობებზე/სტუდენტების საინფორმაციო ბაზრობებზე უნდა იყოს აქტიურად მხარდაჭერილი უნივერსიტეტის მიერ.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ლიტერატურის ისტორია

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4, სადოქტორო პროგრამა - ქართული ფილოლოგია

რეკომენდაციები:

რჩევები:

- შესაძლებელია საერთაშორისო კარიერული პერსპექტივების, ქსელის და კვლევითი პროექტების საერთაშორისო დაფინანსების შესახებ ინფორმაციის მეტად მიწოდება. მაგალითად, ინდივიდუალურმა კონსულტაციამ შეიძლება წაახალისოს სტუდენტები, ისარგებლონ საერთაშორისო შესაძლებლობებით.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერის სერვისები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესრულებაში.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტთა და ხელმძღვანელთა თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განახორციელონ სამეცნიერო ხელმძღვანელობაა.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტმა შეიმუშავა სადოქტორო დებულება, რომელიც არეგულირებს სადოქტორო დისერტაციის მომზადებისა და დაცვის ყველა დეტალს. დებულება ასევე აღწერს სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქციებსა და მოვალეობებს. (სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულებით სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს წესდება; სხდომის ოქმი N. 14, 25.12.2013წ. დადგენილება N. 69)

დოქტორანტის ხელმძღვანელი ინიშნება საკვლევი თემის შინაარსის გათვალისწინებით. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს მოცემულ დარგში კვლევის გამოცდილება. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასევე მოწვეული პროფესორი სხვა უნივერსიტეტიდან, ასოცირებული პროფესორი ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მკვლევარი. გარდა ამისა, ხელმძღვანელთან ერთად შეიძლება დაინიშნოს თანახელმძღვანელი (ადგილობრივი ან უცხოელი), რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დეტალურად არის განსაზღვრული დოქტორანტურის დებულებაში (მუხლი 9).

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი იღებს ვალდებულებას ჩაერთოს დოქტორანტის კვლევის პროცესში, გაუწიოს მას რეგულარულ კონსულტაცია, დაეხმაროს კვლევის დიზაინისა და მეთოდების შერჩევაში, ლიტერატურის მოძიებაში ან მოძიებული ლიტერატურის დამუშავებაში, ხელი შეუწყოს სხვადასხვა აკადემიურ ღონისძიებებში მის ჩართულობას, წვლილი შეიტანოს სადოქტორო დისერტაციის კანონით დადგენილ ვადაში დასრულებაში.

დისერტაციის დაცვამდე ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე იმართება ნაშრომის წინასწარი განხილვა, რომელსაც შესაბამისი დარგის სპეციალისტები ესწრებიან. საბოლოოდ, ნამუშევარი უნდა შემოწმდეს პლაგიატზე.

უნივერსიტეტს ასევე აქვს სამაგისტრო დებულება და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია. გარდა ამისა, დოკუმენტებში აღწერილია მაგისტრანტის ხელმძღვანელის ფუნქცია და მოვალეობები. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული დოქტორი (ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი), რომელსაც აქვს კვლევები თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს შეიძლება ჰყავდეს თანა-ხელმძღვანელი (თუ სამაგისტრო საკითხი მოიცავს ორ ან მეტ სფეროს/ქვესფეროს).

სტუდენტებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ სრულ მხარდაჭერას კვლევის ყველა ეტაპზე.

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პოლიტიკის მიხედვით, აკადემიური ხელმძღვანელი უფლებამოსილია სასწავლო წლის განმავლობაში ხელმძღვანელობა გაუწიოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს ხუთ სტუდენტს (მათ შორის, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აქტიური სტატუსის მქონე 5 სტუდენტს).

ქართული ფილოლოგიის კლასტერში შემავალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებიდან ჩანს, რომ პროგრამაში ჩართულნი არიან კვალიფიციური სპეციალისტები; მათი კვალიფიკაცია და გამოცდილება სავსებით შესაბამისია მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან მუშაობისთვის. მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ინტეგრაციამ ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში შეიძლება გააძლიეროს სტუდენტების კომპეტენციები და ამით ხელი შეუწყოს მათ დამოუკიდებლობას, რაც თავის მხრივ სარგებელს მოუტანს ხელმძღვანელობას.

მაგისტრების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა) პროგრამა 3 (ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში) პროგრამა 4 (სადოქტორო პროგრამა)	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**პროგრამა 2 – 4** **პროგრამა 3 – 7**
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**7**
მაგისტრანტთა რაოდენობა	პროგრამა 3 - 38 პროგრამა 2 - 24
//დოქტორანტთა რაოდენობა	5
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	პროგრამა 3 -7/38 პროგრამა 2 - 4/28

თანაფარდობა - სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელები/დოქტორანტები	7/5

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

○ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს დებულება ქართული ფილოლოგიის მიმართულებით

○ სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროექტის/თეზისის მომზადების ინსტრუქცია

○ თვითშეფასების ანგარიში

○ საგანმანათლებლო პროგრამები

○ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები

○ ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

● შეიძლება მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ინტეგრაციის გაზრდა ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში, რითაც გაძლიერდება სტუდენტების კომპეტენციები და ეს ხელს შეუწყობს მათ დამოუკიდებლობას, რაც თავის მხრივ სარგებელს მოუტანს ხელმძღვანელობას.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ლიტერატურის ისტორია

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4, სადოქტორო პროგრამა - ქართული ფილოლოგია

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

კლასტერში საგანმანათლებლო კომპონენტს ხელმძღვანელობს 17 აკადემიური პერსონალი, რაც არის მთელი კლასტერის შესაბამისი რიცხვი. თუმცა, ერთ-ერთ პროგრამაში, კერძოდ ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე, აკადემიური პერსონალის რაოდენობა არ არის რელევანტური (მხოლოდ 3 აკადემიური პერსონალი და 2 მოწვეული პერსონალი) და ის უნდა გაიზარდოს კურსების რაოდენობასთან (24 კურსი) შესაბამისად. ეს უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

ჩართული პერსონალი კვალიფიცირებულია, რაც დასტურდება მათი პუბლიკაციებით ბოლო 5 წლის განმავლობაში. თითოეულ მათგანს აქვს დოქტორის ხარისხი და შესაბამისი პედაგოგიური გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელები ჩართულნი არიან პროგრამების განხორციელებაში. მათ მაღალი კვალიფიკაციები და მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ. შეფასების პროცესში დადასტურდა, რომ ყველა მათგანს აქვთ საჭირო კომპეტენციები, უნარ-ჩვევები და გამოცდილება.

პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობენ როგორც აკადემიური ისე მოწვეული პერსონალი. ფაკულტეტის მიერ შემუშავებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა, სადაც საგანმანათლებლო და კვლევითი და სხვა ფუნქციები განსაზღვრულია პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე.

მიუხედავად ამ კარგი საწყისი პოზიციისა, ჯერ კიდევ საჭიროა გარკვეული საკითხების გაუმჯობესება: აკადემიურმა პერსონალმა და კლასტერის პროგრამების ხელმძღვანელებმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა პროექტებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელების გარე დაფინანსების მისაღებად, რაც შესაძლებელს გახდის მაღალი ხარისხის კვლევებისა და პუბლიკაციების განხორციელებას და გააუმჯობესებს მათ კვალიფიკაციასა და გამოცდილებას. გარდა ამისა, კვლევითი მონოგრაფიების (და არა მხოლოდ ჟურნალის ნაშრომების) გამომუშავება შეიძლება გაიზარდოს, როგორც კარგი ნაბიჯი პერსონალის აკადემიური პრესტიჟისა და დონის უზრუნველსაყოფად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დასაქმებული პერსონალის საერთო რაოდენობაა 28. მათ შორის: 17 აკადემიური პერსონალი: 3 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი და 11 მოწვეული პერსონალი. პერსონალს აქვს სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება და შესაბამისი კომპეტენცია პროგრამის შედეგების მისაღწევად. თითოეულ მათგანს აქვს დოქტორის ხარისხი და სამეცნიერო პუბლიკაციები შესაბამის სფეროში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეესაბამება სტუდენტთა რაოდენობას.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელია პროფესორი მერაბ ბერიძე, შესანიშნავი და გამორჩეული კვალიფიკაციით, პედაგოგიური და კვლევითი გამოცდილებით. ის არის 200-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი, და უკვე ოცი წელია სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო გუნდის წევრია.

დოკუმენტაციაში მიღებული ინფორმაცია დადასტურდა უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუზე.

პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[9]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[10]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აფილირებული აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	**17**	**17**	**17**	**17**
პროფესორი	3	3	3	3
ასოცირებული პროფესორი	12	12	12	12
ასისტენტ პროფესორი	2	2	2	2
ასისტენტი	-	-		-
მოწვეული პერსონალი	11	11	11	_
სამეცნიერო პერსონალი	-			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო გეგმა
- ადამიანური რესურსები სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად
- აფილირებული და მოწვეული პერსონალის CV-ები
- აფილირებული და მოწვეული პერსონალის სერთიფიკატები

[9] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[10] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობაა 14. მათ შორის 7 აფილირებული: 2 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 7 მოწვეული თანამშრომელი მონაწილეობს ქართველური ენათმეცნიერების ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში, ყველა მათგანს აქვს დოქტორის ხარისხი.

მათი CV-ებიდან და ადგილზე ვიზიტის დროს მიღებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ პერსონალის ყველა წევრი ფლობს სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენციებს.

პროგრამის ხელმძღვანელები (პროფ. მერაბ ბერიძე და პროფ. მაკა ბერიძე) გამოჩენილი ენათმეცნიერები არიან; ცხადია, რომ მათ გააჩნიათ საჭირო ცოდნა და გამოცდილება და შესაბამისი კომპეტენციები სასწავლო სფეროში.

პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)[1]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[2]	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[3]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	**7**	**7**	**7**	**7**
პროფესორი	2	2	2	2
ასოცირებული პროფესორი	4	4	4	4
ასისტენტ პროფესორი	1	1	1	1
ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	7	7	7	
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო გეგმა
- ადამიანური რესურსები სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად
- აფილირებული და მოწვეული პერსონალის CV-ები
- აფილირებული და მოწვეული პერსონალის სერთიფიკატები
- თვითშეფასების ანგარიში

- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა

პროგრამაში ჩართულია 5 აკადემიური პერსონალი: 3 ასოცირებული პროფესორი და 2 მოწვეული პერსონალის წევრი. თითოეულ მათგანს აქვს დოქტორის ხარისხი და გამოცდილება შესაბამის სფეროში სწავლებაში. ასევე პუბლიკაციები და კონფერენციებში მონაწილეობა.

პროგრამის ხელმძღვანელია ნესტან სულავა, 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, გამორჩეული პედაგოგიური და კვლევითი გამოცდილებით. თუმცა, აკადემიური პერსონალის რაოდენობა არ შეესაბამება კურსების რაოდენობას (24). 5 აკადემიური პერსონალიდან 3 არის აფილირებული, რაც პროგრამის მდგრადობას კითხვის ქვეშ აყენებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პროგრამის ხელმძღვანელიც არ არის აფილირებული. მხოლოდ პერსონალის გაზრდით არის შესაძლებელი პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფა და ყველა კურსის გაშუქება.

პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[2]	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[3]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	**3**	**3**	**3**	**3**
პროფესორი	-	-	-	
ასოცირებული პროფესორი	3	3	3	3
ასისტენტ პროფესორი				
ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	2	2	2	-
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო გეგმა
- ადამიანური რესურსები სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად
- აფილირებული და მოწვეული პერსონალის CV-ები
- აფილირებული და მოწვეული პერსონალის სერთიფიკატები
- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაში ჩართულია 15 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის 10 აკადემიური პერსონალი, რომლებიც აფილირებულია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს კვლევის გამოჩენილი გამოცდილება, მათ შორის მანანა თანდაშვილი არის ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორი და რუმინეთის უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს ქართველოლოგი. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს სიმპოზიუმებში, კონგრესებში, კონფერენციებსა და სხვა სახის ღონისძიებებში სხვადასხვა ქვეყანაში. აკადემიური პერსონალის გამოცდილება და კომპეტენცია სრულად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს.

პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[11]	მათ შორის დარგობრივი მიმართულების დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი.[12]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	10	10	10	**10**
პროფესორი	3	3	3	3
ასოცირებული პროფესორი	6	6	6	6
ასისტენტ პროფესორი	1	1	1	1
ასისტენტი	-	-		-
მოწვეული პერსონალი	5	5	5	_
სამეცნიერო პერსონალი	-			_

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- აკადემიურმა პერსონალმა და კლასტერის პროგრამების ხელმძღვანელებმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა პროექტებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელებისთვის გარე დაფინანსების მისაღებად, რაც შექმნის მაღალი ხარისხის კვლევებისა

[11] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[12] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

და პუბლიკაციების ჩატარების და მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების შესაძლებლობას.

- კვლევითი მონოგრაფიების (და არა მხოლოდ ჟურნალის ნაშრომების) წარმოების ზრდა შეიძლება იყოს კარგი ნაბიჯი პერსონალის აკადემიური პრესტიჟისა და დონის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ლიტერატურის ისტორია

რეკომენდაციები:

- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად უნდა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, განსაკუთრებით აფილირებული პერსონალის რაოდენობა.

რჩევები:

პროგრამა 4 სადოქტორო პროგრამა - ქართული ფილოლოგია

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 4.1. ადამიანური რესურსები:	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებს სთავაზობს კვალიფიციურ ხელმძღვანელებს, რომლებსაც აქვთ პუბლიკაციები და კვლევის გამოცდილება შესაბამის სფეროებში. ფილოლოგიის პროგრამების კლასტერში შედიან შესაბამისი კვალიფიკაციისა და აფილირების მქონე თანახელმძღვანელები, ქართველი ან უცხოელი სპეციალისტები. უნივერსიტეტს აქვს ინსტრუქცია სამაგისტრო და სადოქტორო პროექტის/ნაშრომის წარმოებისთვის, სადაც ჩამოყალიბებულია ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები. დოკუმენტის თანახმად, სტუდენტებს უნდა გაუწიონ სამეცნიერო ხელმძღვანელობა სამეცნიერო ნაშრომის წერისას, ასევე მხარდაჭერა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში ინტეგრაციის პროცესში. მათ შორის, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობა, აგრეთვე კონსულტაციები სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებისთვის რეცენზებულ ჟურნალში.
თვითშეფასების ანგარიშმა და შეფასების პროცესში ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ეს ხელმძღვანელობა ეფექტური და შესაბამისია. თანამედროვე მეთოდები ადეკვატურად არის ინტეგრირებული ხელმძღვანელობაში. თუმცა, შეიძლება გაძლიერდეს ხელმძღვანელობის საერთაშორისო განზომილება. ხელმძღვანელები, განსაკუთრებით. მოწვეულმა პერსონალმა უნდა გააძლიეროს ძალისხმევა მაგისტრანტებისა და დოქტორანტების საერთაშორისო გამოცდილების და ქსელის გასაუმჯობესებლად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა სახელმძღვანელო სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელის უფლებებსა და მოვალეობებს. დოკუმენტის მიხედვით, სტუდენტებმა უნდა მიიღონ ზოგადი სამეცნიერო რჩევები, ამას გარდა, მათ უნდა დაეხმარონ ნაშრომის დაწერაში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრაციის პროცესში, ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობაში, შედეგების წარმოდგენაში, გაუწიონ კონსულტაციები იმის შესახებ როგორ გამოაქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები რეცენზირებად ჟურნალებში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი მაღალ კვალიფიცირებული პროფესიონალები არიან სწავლის სფეროში. აღსანიშნავია, რომ მაგისტრანტებს საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ ჰყავდეთ თანახელმძღვანელი.

პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	სადისერტაციო ხელმძღვანელები	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[1]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**15**	**15**	**6**
პროფესორი	2	2	2
ასოცირებული პროფესორი	3	3	3
ასისტენტ პროფესორი	1	1	1
მოწვეული პერსონალი	9	9	_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო გეგმა
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ადამიანური რესურსები სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად
- აფილირებული და მოწვეული პერსონალის CV-ები
- აფილირებული და მოწვეული პერსონალის სერთიფიკატები
- სახელმძღვანელო სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად
- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ხელმძღვანელები	დარგობრივი მიმართულების დოქტორის ხარისხის მქონე	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

		ხელმძღვანელების ჩათვლით.[13]	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**5**	**5**	**3**
პროფესორი	-		
ასოცირებული პროფესორი	3	3	
ასისტენტ პროფესორი			
მოწვეული პერსონალი	2	2	_
სამეცნიერო პერსონალი			_

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციით, ხელმძღვანელის მოვალეობები და უფლებები დეტალურად არის ჩამოყალიბებული. სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელებით, რომლებსაც მათთვის საინტერესო სფეროში გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო პუბლიკაციები, რაც ნათლად ჩანს უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან. სამაგისტრო ნაშრომის თემას და სტუდენტის ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს უნიშნავენ თანახელმძღვანელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო გეგმა
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ადამიანური რესურსები სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად
- აფილირებული და მოწვეული პერსონალის CV-ები
- აფილირებული და მოწვეული პერსონალის სერთიფიკატები
- სახელმძღვანელო სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად
- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ხელმძღვანელები	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

[13] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

		მქონე ხელმძღვანელები[14]	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**7**		
პროფესორი			
ასოცირებული პროფესორი			
ასისტენტ პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

უნივერსიტეტის დოქტორანტს უნდა დაენიშნოს კვალიფიციური ხელმძღვანელი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ და სადოქტორო პროგრამის დებულების მიხედვით. უნივერსიტეტის პროფესორს ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ასოცირებულ პროფესორს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დარგის სპეციფიკის შესაბამისი ხარისხი, მონაწილეობდეს სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში და გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც შეესაბამება სტუდენტის სადისერტაციო ნაშრომს. სტუდენტებს შეუძლიათ ჰყავდეთ სხვა, მათ შორის უცხოური აკადემიური ინსტიტუტებიდან მოწვეული თანახელმძღვანელები. უცხოელი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი არის მკვლევარი ან/და აკადემიური თანამდებობის მქონე პირი შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხით ნებისმიერ უცხოურ საგანმანათლებლო/სამეცნიერო/კვლევით დაწესებულებაში. ინტერვიუების დროს დამაჯერებლად დადასტურდა, რომ ყველა მოთხოვნა შესრულებულია. გარდა ამისა, ცხადი გახდა, რომ ხელმძღვანელები უზიარებენ თავიანთ ექპერტიზას და გამოცდილებას კურსდამთავრებულებს. დასაქმების შესაძლებლობის თვალსაზრისით, დოქტორანტების შესაბამისი მომზადება უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს. განსაკუთრებით ის შესაძლებლობა, რომ დოქტორანტებს ჰყავთ თანახელმძღვანელები უნივერსიტეტს მიღმა, ზრდის დოქტორანტების სამომავლო კარიერულ პერსპექტივებს, რადგან (როგორც ეს ინტერვიუების დროს გამოჩნდა) მათ აქვთ შესაბამისი პროფესიული გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო გეგმა
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ადამიანური რესურსები სადოქტორო პროგრამის განსახორციელებლად
- აფილირებული და მოწვეული პერსონალის CV-ები
- აფილირებული და მოწვეული პერსონალის სერთიფიკატები
- საქართველოს ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის და სადისერტაციო საბჭოს დებულება
- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

[14] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც
თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

- ხელმძღვანელებმა, განსაკუთრებით მოწვეულმა პერსონალმა, უნდა გააძლიერონ ძალისხმევა მაგისტრანტებისა და დოქტორანტების საერთაშორისო გამოცდილების და ცნობადობის ქსელის გასაუმჯობესებლად.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 2 ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ლიტერატურის ისტორია

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4, სადოქტორო პროგრამა - ქართული ფილოლოგია

რეკომენდაციები:

რჩევები:

- უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს დოქტორანტების სათანადო მომზადება მათი შემდგომი დასაქმებისთვის.

- მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს დოქტორანტებისთვის უნივერსიტეტის გარედან მოყვანილი თანახელმძღვანელების ყოლის შესაძლებლობას, ასევე დოქტორანტების სამომავლო კარიერულ პერსპექტივებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან
პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მუდმივად აფასებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შედეგებს. სამეცნიერო საქმიანობა მათი დატვირთვის სავალდებულო კომპონენტია. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის სტაბილური განვითარება უზრუნველყოფილია სამუშაო დატვირთვის სქემით. სამუშაო დატვირთვის სქემაში, თითოეულ სამეცნიერო საქმიანობას ენიჭება შესაბამისი საათი. აკადემიური პერსონალისთვის სავალდებულო მოთხოვნაა ერთი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება მაღალი სამეცნიერო გავლენის მქონე პუბლიკაციაში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.
თვითშეფასების წლიური ანგარიში განისაზღვრება, როგორც აკადემიური პერსონალის შეფასების ინსტრუმენტი. საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით ღონისძიებებში უნივერსიტეტის ჩართულობის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტი ზრუნავს როგორც პერსონალის, ისე სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებზე. მხარდაჭერისა და წახალისების მექანიზმები გაწერილია უნივერსიტეტის შინაგანაწესში. უნივერსიტეტს აქვს საკონკურსო რეგულაცია საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტებზე, სადაც ფორმულირებულია მონაწილეობის პირობები.

აკადემიურ პერსონალს უტარდება სხვადასხვა ტრენინგები: Moodle-ის, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების (მათ შორის Zoom და სხვა არხების), სამეცნიერო მეტრიკისა და მონაცემთა ბაზების გამოყენება, საქართველოს სამეცნიერო ნაშრომების ხილვადობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა FAO AGRIS-ის და Thesaurus AGROVOC-ის მხარდაჭერით, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები. ეს ტრენინგები მომავალში შეიძლება უფრო მრავალფეროვანი გახდეს და გაძლიერდეს. გარდა ამისა, საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის აქტიურ მხარდაჭერას შეუძლია გააძლიეროს პერსონალის პროფესიული განვითარება.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები
- პროგრამის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობები
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვა.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასარგებლო იქნება აკადემიური პერსონალისთვის პროფესიონალური განვითარებისთვის მეტი ტრენინგის შეთავაზება.
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, უფრო აქტიურად წახალისდეს, მოტივაცია მიეცეს და დაფინანსდეს აკადემიური პერსონალი, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო პროექტებსა და ღონისძიებებში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ლიტერატურის ისტორია

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4 სადოქტორო პროგრამა - ქართული ფილოლოგია

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან
პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება:	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი

საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის ობიექტები. მოცემულ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები ტარდება კამპუსის ორ კორპუსში, ერთი მდებარეობს ქალაქ ახალციხეში და მეორე ახალქალაქში. საკლასო ოთახები ახლახანს განახლდა, მათ შორის კომპიუტერები. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც ახლახან შეიძინა Erasmus Plus "DITECH"-ის პროექტის ფარგლებში, კერძოდ, ვიდეო და აუდიო ჩამწერი სისტემები, მათი განმარტებით, ამ ტექნიკის გამოყენება შეუძლიათ როგორც ამ პროგრამებში ჩარიცხულ სტუდენტებს, ასევე აკადემიურ პერსონალს. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა, იყვნენ თუ არა სტუდენტები ინფორმირებული ამ შესაძლებლობის შესახებ და ინტერვიუების დროს მათ აღნიშნეს, რომ ფლობენ ინფორმაციას, მაგრამ ჯერ არ გამოუყენებიათ, რადგან აღჭურვილობა ახალი შეძენილი იყო.

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სამივე კორპუსში, მათ შორის იმ ორ კორპუსში, სადაც პროგრამები მიმდინარეობს. სამკითხველო დარბაზები დაყოფილია ორ ნაწილად, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის. კურსის სილაბუსებში მითითებული ყველა ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში, თუმცა მათი უმეტესობა ელექტრონულ ფორმატშია. ექსპერტთა ჯგუფმა იკითხა, რა ზომები მიიღო ბიბლიოთეკამ საავტორო უფლებების დასაცავად. დაწესებულების განმარტებით, ეს ელექტრონული წიგნები ხელმისაწვდომია მხოლოდ უნივერსიტეტის ანგარიშების საშუალებით. უფრო მეტიც, ისინი ცდილობენ დაასკანირონ არა სრული ტექსტები, არამედ სახელმძღვანელოებიდან მხოლოდ გარკვეული ნაწილები.

აკადემიური მონაცემთა ბაზები სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის საშუალებით. ამჟამად უნივერსიტეტს აქვს გამოწერილი თითქმის 10 სხვადასხვა მონაცემთა ბაზა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე (Sage Publishing; Cambridge Journals; Scopus) შეესაბამება ამ პროგრამების სტუდენტებს. საერთაშორისო თანამშრომლობის საშუალებით შესაძლებელი იქნება შესაბამისი წყაროების ხელმისაწვდომობის გაზრდა. როგორც განმარტეს, ბიბლიოთეკა ატარებს ტრენინგს მონაცემთა ბაზების გამოყენებაში, საორიენტაციო კვირის განმავლობაში სტუდენტებთან შეხვედრების გარდა. მონაცემთა ბაზების მხოლოდ ნახევარი არის ხელმისაწვდომი დისტანციურად, უმეტესობა ღიაა მხოლოდ კამპუსიდან. ბიბლიოთეკის პერსონალი აქტიურად ემსახურება პერსონალს და სტუდენტებს, მომხმარებლის სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდიდან. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა სტუდენტების ინფორმირებულობა მონაცემთა ბაზებისა და ბიბლიოთეკის სერვისების შესახებ. შედეგები მოცემულია ქვემოთ, თითოეული პროგრამის ფარგლებში. ძირითადად, სასწავლო აქტივობები ჯერ კიდევ მოითხოვს გაფართოვებას.

ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული ამოცანების გარდა, პერსონალი პასუხისმგებელია მსგავსების გამოვლენის პროგრამა Turnitin-ის გამოყენების ტრენინგების უზრუნველყოფაზე, რომელიც უნივერსიტეტს გამოწერილი აქვს 2019 წლიდან. როგორც ითქვა, ბიბლიოთეკა ყოველ სემესტრში მასპინძლობს ინფორმაციას პროგრამული უზრუნველყოფის საწყის დონეზე გამოყენების შესახებაც კი, რომელიც ღიაა როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის.

ექსპერტთა ჯგუფი ცდილობდა დაედგინა, როგორი იყო საბიბლიოთეკო რესურსების შეძენის პროცედურა და რამდენად იყვნენ სტუდენტები ამაში ჩართულნი. პროცედურების მიხედვით, პროცესის ინიცირება

იწყება აკადემიური პერსონალის მიერ და ფაკულტეტის ადმინისტრაციისგან დასტურის მიღების შემდეგ ბიბლიოთეკა ყიდულობს რესურსებს. გარდა ამისა, მთავარ სამკითხველო დარბაზში იყო ღია წიგნი სტუდენტებისთვის, სადაც მათ შეუძლიათ აღნიშნონ ის წიგნები, რომელიც მათ სურთ ხელმისაწვდომი იყოს ბიბლიოთეკაში. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ბიბლიოთეკის მიერ ამ კლასტერში არსებული პროგრამებისთვის შეძენილი ბოლო პუბლიკაცია. როგორც ითქვა, ეს მოხდა ადგილზე ვიზიტამდე 5 თვით ადრე და შესაბამისად, წარმოდგენილი იქნა წიგნები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალვრო პროგრამა

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ტარდება ორ სხვადასხვა ქალაქში, შესაბამისად, უნივერსიტეტის ორ სხვადასხვა კორპუსში. საკლასო ოთახები განახლებულია, კომპიუტერები ახლახანს არის შეძენილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები ორივე კორპუსში ღიაა, თუმცა პირველ კორპუსს აქვს ცენტრალიზებული ბიბლიოთეკა, რომელშიც ბევრად მეტი ბეჭდური რესურსია ახალქალაქის კორპუსის სამკითხველო დარბაზთან შედარებით. როგორც აღინიშნა, წიგნების უმეტესობა ადგილზეა ხელმისაწვდომი, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ბეჭდურ რესურსებს უზრუნველყოფს ცენტრალური ბიბლიოთეკიდან (უნივერსიტეტის მძღოლის დახმარებით, რომელიც ყოველდღე ატარებს აკადემიურ პერსონალს ერთი ქალაქიდან მეორეში და პირიქით).

ექსპერტთა ჯგუფმა შეეცადა გაერკვია, იყო თუ არა აკადემიური ბაზები ხელმისაწვდომი ახალქალაქის სამკითხველო დარბაზიდან. როგორც გაირკვა, ეს მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკიდან, გარდა ამისა, ბიბლიოთეკის ტექნიკური დირექტორი ყოველ სემესტრში ახალქალაქის კამპუსში ატარებს ტრენინგს ამ პროგრამის სტუდენტებისთვის. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ამ შენობაში არსებული პერსონალური კომპიუტერების უმეტესობა ახლახან იქნა შეძენილი, ბიბლიოთეკაში კი ოდნავ ძველი ჩანდა. ამდენად, თვლიან, რომ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში კომპიუტერებიც განახლდეს, ან თუნდაც შეიძლება შეიცვალოს საკლასო ოთახში არსებული კომპიუტერებით, იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტები გაცილებით მეტ დროს ატარებენ სამკითხველო დარბაზში, ვიდრე კლასში.

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ექსპერტთა ჯგუფი ცდილობდა გაერკვია, როგორი იყო სტუდენტების ინფორმირებულობა აკადემიურ მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებით და გამოიყენეს თუ არა მათ ოდესმე ეს რესურსები. როგორც ითქვა, მათ აქვთ ინფორმაცია შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ აქამდე არ გამოუყენებიათ. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, პროაქტიულად მიეწოდოს ინფორმაცია აკადემიურ მონაცემთა ბაზების გამოყენების უპირატესობებთან დაკავშირებით, მაშინაც კი, თუ ამ პროგრამის რესურსების უმეტესობა ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

ქართველური ენების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ახორციელებენ კვლევით პროექტებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ აღჭურვილობას (ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის მიერ მოლაპარაკე სხვადასხვა დიალექტის ჩასაწერად). უნივერსიტეტმა წარმოადგინა აღჭურვილობა - ვიდეოკამერები, განათების სისტემა და მონაცემთა ანალიზისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი კომპიუტერები. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ექსპერტთა ჯგუფმა სცადა იმის დადგენა, ჰქონდათ თუ არა მათ უკვე კვლევით პროექტებში/ექსპედიციებში მონაწილეობის პრაქტიკა. სტუდენტებმა განაცხადეს, რომ აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამ პროცესში და აკადემიურ პერსონალთან ერთად აგროვებენ მონაცემებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ჰკითხა სტუდენტებს იცნობდნენ თუ არა და სარგებლობენ თუ არა უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული აკადემიური ბაზებით. როგორც ისინი აღნიშნავენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ესწრებოდნენ საორიენტაციო შეხვედრას და აქვთ ინფორმაცია, ისინი მაინც არ იყენებენ ამ რესურსს.

ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს ბიბლიოთეკას პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან ერთად ხელი შეუწყოს შესაბამისი საინფორმაციო რესურსების გამოყენებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს ექსპერტთა ჯგუფი ცდილობდა გაერკვია, რა სერვისებს იღებენ სტუდენტები ბიბლიოთეკიდან. მათი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ბეჭდური რესურსების გატანა იყო ყველაზე ხშირად გამოყენებული სერვისი, ზოგიერთმა კი აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა აქტიურად აწვდიდა ელექტრონულ რესურსებს პანდემიის დროს. რაც შეეხება აკადემიურ მონაცემთა ბაზებს, მათ აქვთ ინფორმაცია ასეთი რესურსების არსებობის შესახებ, თუმცა არც ისე ხშირად იყენებენ. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა და აკადემიურმა პერსონალმა აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი მონაცემთა ბაზების უფრო ინტენსიურად გამოყენებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

უნივერსიტეტმა შექმნა ციფრული ჰუმანიტარული ცენტრი, რომლის გახსნა იგეგმება მიმდინარე წლის ბოლომდე. გარდა ამისა, არის ოთახი ამ პროგრამის დოქტორანტებისთვის, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებით, რომლებსაც აქვთ კვლევითი პროექტებისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა. უნივერსიტეტი აცხადებს, რომ მატერიალური რესურსები, როგორიცაა ვიდეოკამერები, განათების სისტემა, მანქანა მძღოლთან ერთად, ასევე თავისუფლად არის ხელმისაწვდომი დოქტორანტებისთვის.

აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დასვა რამდენიმე შეკითხვა იმ საინფორმაციო რესურსებთან დაკავშირებით, რომლებზეც წვდომას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი. როგორც თანამშრომლებმა აღნიშნეს, ბიბლიოთეკა ახორციელებს საინფორმაციო სესიებს და ინდივიდუალურ დახმარებას დოქტორანტებისთვის, თუმცა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მართალია მათ იციან ასეთი შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ ჯერ არ გამოუყენებიათ. ზოგიერთი მათგანი ასახელებს სხვადასხვა აკადემიურ მონაცემთა ბაზას, მაგრამ საერთო ჯამში, გამოიკვეთა, რომ ბიბლიოთეკამ უნდა გააძლიეროს თავისი აქტივობა ამ კუთხით.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე იკითხა, ეხმარებოდნენ თუ არა დოქტორანტებს სხვადასხვა საცნობარო მართვის ინსტრუმენტების გამოყენებაში ან პუბლიკაციების მომზადებაში. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია საცნობარო მართვის ინსტრუმენტის სახელმძღვანელო და ასევე არსებობს უნივერსიტეტის გამომცემლობა, რომელიც ამზადებს უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების პუბლიკაციებს დასაბეჭდად. თუმცა, სტუდენტებმა ვერ გაიხსენეს რაიმე ტრენინგები საცნობარო მართვის ინსტრუმენტების გამოყენებაში ან აკადემიური პუბლიკაციის მომზადებაში. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, ეს სერვისები ხელმისაწვდომი იყოს დოქტორანტებისთვის, რადგან ისინი მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე დათვალიერება უნივერსიტეტში
- ინტერვიუები ვიზიტის დროს
- ხელშეკრულებები აკადემიურ მონაცემთა ბაზების პროვაიდერებთან
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია დისტანციური წვდომის უზრუნველყოფა ყველა აკადემიურ მონაცემთა ბაზაზე, რომელიც გამოწერილი აქვს ბიბლიოთეკას (მაგ. VPN-ის საშუალებით), განსაკუთრებით პერიფერიულ რაიონებში მცხოვრები სტუდენტებისთვის, სასარგებლო იქნება დისტანციური წვდომა არა მხოლოდ Elsevier-ის მონაცემთა ბაზებზე (რომლებიც არ არის სპეციფიკური კლასტერის პროგრამებისთვის).
- რეკომენდებულია, რომ ბიბლიოთეკამ გააუმჯობესოს აკადემიური მონაცემთა ბაზების მოხმარების შესახებ ტრენინგი და ამ პროცესში ჩართოს აკადემიური პერსონალი, რათა მეტად გაუწიოს პოპულარიზაცია ამ რესურსებს სტუდენტებში.

კლასტერის საერთო რჩევები:

- საერთაშორისო ქსელის დახმარებით შესაძლებელი იქნება სტუდენტებისთვის (და აკადემიური პერსონალისთვის) ხელმისაწვდომი გახდეს რესურსები (როგორიცაა მონაცემთა ბაზები, პუბლიკაციები ან კომპიუტერული ინსტრუმენტები), რომლებიც ამჟამად მიუწვდომელია უნივერსიტეტში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში

რეკომენდაციები:

- ბიბლიოთეკამ და აკადემიურმა პერსონალმა უნდა გააძლიერონ ძალისხმევა, რათა წაახალისონ სტუდენტები, გამოიყენონ ყველა შესაბამისი საინფორმაციო რესურსი, განსაკუთრებით თანამედროვე ციფრული რესურსები.

რჩევები:

პროგრამა 3 სამაგისტრო პროგრამა - ქართული ლიტერატურის ისტორია

რეკომენდაციები:

- ბიბლიოთეკამ ხელი უნდა შეუწყოს მაგისტრანტების მიერ მონაცემთა ბაზებისა და სხვა ციფრული რესურსების გამოყენებას. ეს უნდა მოხდეს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით.

რჩევები:

პროგრამა 4 სადოქტორო პროგრამა - ქართული ფილოლოგია

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ბიბლიოთეკამ აკადემიურ პერსონალთან ერთად შეიმუშავოს და განახორციელოს დოქტორანტების ტრენინგ მოდულები საცნობარო მართვის სისტემების გამოყენებაში; საკონფერენციო ნაშრომების შედგენაში; კვლევითი ნაშრომის სტრუქტურირებაში და ა.შ. (ანუ აკადემიური წერის საუკეთესო პრაქტიკა).

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის
შეფასება და ანალიზი

დაწესებულებამ წარმოადგინა ბიუჯეტი კლასტერში მოცემული ინდივიდუალური პროგრამისთვის. როგორც ირკვევა, პროგრამის ერთადერთი შემოსავალი არის სწავლის საფასური, რომელიც დამოკიდებულია სტუდენტების რაოდენობაზე. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში, ადგილები ფინანსდება საქართველოს მთავრობის მიერ (პროგრამაში ჩარიცხული ყველა სტუდენტი მიიღებს სტიპენდიას სახელმწიფოსგან სწავლის საფასურის დასაფარად). სადოქტორო პროგრამა თვითდაფინანსებულია და სტუდენტები თავად იხდიან ფულს.
წარმოდგენილი საბიუჯეტო დოკუმენტების მიხედვით, იგი მოიცავს აკადემიური პერსონალის ხელფასს, ასევე გარკვეული თანხა ეთმობა პერსონალის პროფესიულ განვითარებას, კონფერენციებისა და პუბლიკაციების საფასურს. როგორც ჩანს, ბაკალავრიატის გარდა ყველა პროგრამა იმაზე მეტს ხარჯავს, ვიდრე შემოსავალი აქვს. ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა იმის გარკვევას, რა იყო ამის მიზეზი და როგორია დაწესებულების პოლიტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით. როგორც განაცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ესმის, რომ სამი პროგრამა არ არის მომგებიანი ბიუჯეტისთვის, ეს პროგრამები პრიორიტეტულ სფეროებად მიიჩნევა უნივერსიტეტისთვის და რეგიონისთვის. ამიტომ, ისინი აფინანსებენ ამ პროგრამებს უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან. ექსპერტების რეკომენდაციით, ბიუჯეტი დაგეგმილი უნდა იყოს შემოსავლის შესაბამისად.
სამივე პროგრამაში მითითებულია გარკვეული თანხა, რომელიც გამოიყოფა იმ აქტივობებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია სტუდენტების მონაწილეობასთან კონფერენციებში ან/და კვლევის საველე ვიზიტებთან. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ თითოეული პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა გაცილებით მცირეა, ვიდრე ბიუჯეტის სხვადასხვა სფეროები. რეკომენდირებულია, რომ დაწესებულებამ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების წლიურ ბიუჯეტში გაზარდოს სტუდენტების საქმიანობისთვის განკუთვნილი თანხა.
ექსპერტთა ჯგუფმა იკითხა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ფინანსური რისკების მართვის გეგმა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის (თუ მომავალ წელს პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა ნაკლები იქნება), და როგორც ამ შემთხვევაში განმარტეს, ცენტრალური ადმინისტრაცია გადაურიცხავს თანხას ბიუჯეტის სხვადასხვა სფეროებიდან. მიუხედავად იმისა, რომ არგუმენტი გამოსავალთან ახლოსაა, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს უნივერსიტეტს მოახდინოს მოცემულ პროგრამებზე შემოსავლების დივერსიფიკაცია ადგილობრივი თუ საერთაშორისო კვლევითი პროექტებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალვრო პროგრამა

ამ პროგრამაში ჩარიცხულ სტუდენტებს სრულად აფინანსებს საქართველოს მთავრობა. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდა. როგორც ინტერვიუების დროს აღინიშნა, ეს პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია ამ რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობაში. პროგრამის ბიუჯეტი აღწერს შემოსავლებსა და ხარჯებს, რომელთა უმეტესობა მიდის აკადემიური პერსონალის ხელფასზე. გარდა ამისა, პროგრამის ბიუჯეტით არის გაწერილი აკადემიური პერსონალისთვის ფინანსური შეღავათები, როგორიცაა კონფერენციის საფასური, პრემიები, ტრენინგები და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ მთლიანი ბიუჯეტის მხოლოდ 0,5%-ზე ნაკლები ეთმობა საბიბლიოთეკო რესურსებს. ამიტომ, რეკომენდებულია, რომ თანხა შეესაბამებოდეს ბიბლიოთეკაში საინფორმაციო რესურსების განახლებას, როგორც წიგნებს, ასევე აკადემიურ მონაცემთა ბაზებს ან რაიმე სხვა მომსახურებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

ქართველური ენათმეცნიერების პროგრამის ბიუჯეტის მიხედვით, ათივე სტუდენტს აფინანსებს საქართველოს მთავრობა. პროგრამის ერთადერთი შემოსავალი სწავლის საფასურია, ამ შემთხვევაში წლიური ხარჯები თითქმის ორჯერ აღემატება შემოსავლებს. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ პროგრამას ცენტრალური ბიუჯეტიდან აფინანსებენ, ბოლომდე გაურკვეველია, რა მოხდებოდა, ცენტრალურ ბიუჯეტს ამის შესაძლებლობა რომ არ ჰქონოდა. ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას იძლევა, რომ პროგრამის ბიუჯეტს ჰქონდეს რისკების მართვის გეგმა, რათა თავიდან აიცილოს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით რამე სერიოზული პრობლემა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

მოცემულ სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტები ასევე ფინანსდებიან მთავრობის მიერ. ამჟამად პროგრამაზე ირიცხება 16 სტუდენტი. ამ შემთხვევაში შემოსავლის აბსოლუტურ ოდენობას ჩარიცხული სტუდენტებისგან მიღებული სწავლის საფასური შეადგენს. როგორც ვხედავთ პროგრამის ბიუჯეტიდან, ხარჯები ოდნავ აღემატება შემოსავლებს. ხარჯების ყველაზე დიდი თანხა იხარჯება ხელფასებზე, ხოლო ძალიან მცირე თანხა ეთმობა სხვა ხარჯებს. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ პროგრამა ფინანსურად არ არის მომგებიანი, რაც ჩვეულია ამ სფეროს პროგრამებისთვის, მაგრამ ამავე დროს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ არ წარმოადგინა თავისი ხედვა პროგრამის ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებით. თუმცა, ასეთი ხედვა უაღრესად საჭიროა. ამ შემთხვევაშიც, პროგრამა ფინანსდება უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან, რომ დაფაროს ყველა ხარჯი, მაგრამ გაუგებარია, რა ღონისძიებები ტარდება პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით რამე ფინანსური კრიზისის თავიდან აცილების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, პროგრამის ბიუჯეტი უნდა იყოს შემუშავებული მინიმუმ ისე, რომ ყველა ხარჯი დაიფაროს შემოსავლებით, ან თუ საჭიროა დამატებითი მხარდაჭერა ცენტრალური ბიუჯეტიდან, მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული შესაბამისი ზომები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

სადოქტორო პროგრამისთვის უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაეწესებინა მინიმალური სწავლის საფასური, რომელიც სტუდენტებმა თავად უნდა გადაიხადონ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამების შემოსავალი ძალიან დაბალია ხარჯებთან შედარებით. ინტერვიუს დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ ეს პროგრამა დაბალი შემოსავლების გამო თითქმის სრულად ფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან, რადგან, როგორც ჩანს, ეს არის უნივერსიტეტის პრიორიტეტი. ბიუჯეტი ისეა შემუშავებული, რომ შეიცავდეს გარკვეულ თანხას აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, ძალიან მცირე თანხა ეთმობა ბიბლიოთეკის რესურსებს და სტუდენტთა ჩართულობას კვლევით საქმიანობაში. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი ისე, რომ ის შეიცავდეს სტუდენტების სამეცნიერო პუბლიკაციებთან დაკავშირებულ ხარჯებს (როდესაც ეს იქნება საჭირო).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის ბიუჯეტი 2022 წლისთვის
- გასაუბრებების შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გამრავალფეროვნდეს საბიუჯეტო შემოსავლები კლასტერში გაერთიანებული ოთხივე პროგრამის შემთხვევაში (მაგალითად, ადგილობრივი ან საერთაშორისო კვლევითი პროექტებით ან ეროვნული/რეგიონული კერძო სექტორის პარტნიორებთან თანამშრომლობით);
- რეკომენდებულია, რომ სტუდენტურ აქტივობებთან (ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა; სტუდენტური პროექტები და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები გაიზარდოს კლასტერში გაერთიანებულ ოთხივე პროგრამაზე.
- რეკომენდებულია, რომ ბიუჯეტი დაიგეგმოს შემოსავლების შესაბამისად; იმ შემთხვევაში თუკი თანხები არ არის საკმარისი, ნათლად უნდა იყოს დასაბუთებული თუ რა დონეზე გეგმავს დაწესებულება პროგრამების დაფინანსებას და რამდენი ხნით.

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ბიუჯეტში თანხის გაზრდა ბიბლიოთეკაში საინფორმაციო რესურსების განახლებისთვის, როგორც წიგნების, ასევე აკადემიური ბაზებისთვის, ან სხვა სერვისებისთვის.

პროგრამა 2 (ქართველური ენათმეცნიერება, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ პროგრამის ბიუჯეტს ჰქონდეს რისკების მართვის გეგმა, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროგრამის მიწოდებასთან დაკავშირებული რაიმე სერიოზული პრობლემა.

პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშაოს პროგრამის ფინანსური მდგრადობის ხედვა და განხორციელების კონკრეტული გეგმა.
- პროგრამის ბიუჯეტი უნდა იყოს შემუშავებული მინიმუმ ისე, რომ ყველა ხარჯი დაიფაროს შემოსავლებით, ან ცენტრალური ბიუჯეტიდან დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შემთხვევაში, მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული შესაბამისი ზომები.

პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგია, დოქტორანტურა)

რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი ისე, რომ შეიტანოს სტუდენტების სამეცნიერო პუბლიკაციებთან დაკავშირებული ხარჯები (საჭიროებისამებრ).

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☐	☐	☒	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☐	☒	☐	☐

პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზის დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დადგინდა, რომ ამ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში გამოიყენება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტული მიდგომები. კერძოდ, აღნიშნული პროცესი მუშაობს შემდეგნაირად - "დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე" ციკლი. ეს პროცესი მოიცავს როგორც პერსონალის შეფასებას, ასევე სტუდენტების გამოკითხვის ფორმების ანალიზს. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარუდგენს რეკომენდაციებს პროგრამების ხელმძღვანელებსა და უნივერსიტეტის მმართველ ორგანოს, რომლის საფუძველზეც საჭიროების შემთხვევაში იგეგმება ინტერვენციები.

პროგრამების თვითშეფასების გუნდში შედიან როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი ფაკულტეტის დონეზე და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის მომსახურებას. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა თვითშეფასების პროცესში ჩართულ პერსონალს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებისა და შემუშავების პროცესში, როლები გადანაწილებულია მათი კომპეტენციების მიხედვით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში ადმინისტრაციული პერსონალის აქტიურობა უფრო შესამჩნევია, ვიდრე აკადემიური პერსონალის. გასაუბრების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ აკადემიური პერსონალი უფრო მეტად არის ორიენტირებული კურსების სილაბუსის მომზადებაზე და ნაკლებად პროგრამული მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე. მიზანშეწონილია ხელი შეეწყოს აკადემიური პერსონალის აქტიურ მონაწილეობას

თვითშეფასების პროცესში, პროგრამის მიზნების მისაღწევად და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანად მუშაობისთვის.

ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა იმის გარკვევას რა მიზეზით იყო რამდენიმე კურსში შეფასების მეთოდები იდენტური, ან კურსის დონეზე, ხშირ შემთხვევაში, რატომ იყო გამოყენებული ერთი და იგივე ტიპის შეფასების აქტივობა. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე გაირკვა, რომ ისინი რეგულარულად ესწრებიან შეხვედრებს და განიხილავენ კურსის სილაბუსებს, მაგრამ ვერ დაასახელეს შეხვედრა/ტრენინგი, რომელიც უშუალოდ ეხებოდა შეფასების ინსტრუმენტებსა და მასთან დაკავშირებულ თემებს. ექსპერტთა ჯგუფმა იგივე შეკითხვა დაუსვა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის წარმომადგენლებს. მათი განმარტებით, ისინი არ არღვევენ აკადემიური თავისუფლების პრინციპს და არ ზღუდავენ პერსონალს გამოიყენონ შეფასების ის ინსტრუმენტები, რომლებიც მათ მიზანშეწონილად და საჭიროდ მიაჩნიათ. ექსპერტთა ჯგუფი აფასებს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია აკადემიურ პერსონალთან ტრენინგის ჩატარება და შეფასების ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენების შესახებ მსჯელობა და შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენების მნიშვნელობის ხაზგასმა.

ექსპერტთა ჯგუფმა რამდენიმე შეკითხვა დასვა იმის გასარკვევად, თუ როგორ ეცნობება მათ აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები. როგორც ინტერვიუების დროს გაირკვა, თუ შეფასება დადებითია, აკადემიური პერსონალი არ იღებს ინფორმაციას ამის შესახებ. თუ შეფასების დროს გამოვლენილია გასაუმჯობესებელი სფეროები, პროგრამის ხელმძღვანელი სიტყვიერად გადასცემს ამ ინფორმაციას უშუალოდ კონკრეტულ აკადემიურ პერსონალს. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, აკადემიურ პერსონალს (წერილობითი უკუკავშირის სახით) უნდა გააცნონ მათი შეფასების შედეგები (როგორც დადებით, ასევე უარყოფით შემთხვევაშე), და ეს პროცესი ფორმალიზებული უნდა გახდეს. ეს დადებითად აისახება პერსონალის მოტივაციაზე და გააუმჯობესებს პროგრამების ხარისხს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების მეთოდოლოგია
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ შექმნილი გამოკითხვის ფორმები
- ინტერვიუების შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
-

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია შეხვედრა თითოეული პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, შეფასების მეთოდების ეფექტური გამოყენების თაობაზე, სადაც ყურადღება გამახვილდება შეფასების სხვადასხვა აქტივობის მნიშვნელობის ასახვაზე და განიხილება შესაძლო ცვლილებები.
- რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები (დადებითი/უარყოფითი) მათ ინდივიდუალურად მიეწოდოს წერილობითი ფორმით და ეს პროცესი ფორმალური გახდეს.

კლასტერის საერთო რჩევები:

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, თვითშეფასების პროცესში აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა, პროგრამის მიზნების მიღწევა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანი განხორციელება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, უნივერსიტეტი მუშაობს ორი ძირითადი მიმართულებით, როდესაც საქმე ეხება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების გარე ხარისხის შეფასებას. პირველი მიმართულება არის მუშაობა იმ რეკომენდაციებზე, რომელიც ეძლევა პროგრამებს აკრედიტაციის ან/და უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცესში, ხოლო მეორე მიმართულება არის შეფასების პროცესში ჩართული გარე რეცენზენტები (როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო პარტნიორები). გარე შეფასების აღნიშნული მოდელის ეფექტიანად გამოსაყენებლად ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრულ ინტერვალებში და არა მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციისთვის შეფასების წარდგენამდე, რათა თუ არის რაიმე რჩევა და რეკომენდაცია, მათი განხორციელება შესაძლებელი იყოს.

პროგრამა 1 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებული იყო 2012 წელს, აკრედიტაციის ვიზიტის დროს მიცემული რეკომენდაციების შესასრულებლად გარკვეული ცვლილებები განხორციელდა. პროგრამის 60 ECTS კრედიტი დაეთმო არჩევით მოდულს, ძირითადად კურსებს სხვადასხვა პროგრამიდან (მათ შორის, უცხო ენები და ისტორია). გარკვეული ცვლილებები განხორციელდა სავალდებულო კურსების ჩამონათვალში. პროგრამის მიზნები და ამოცანები შეიცვალა კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსთან ჰარმონიზაციის მიზნით. გარდა ამისა, მოცემულმა პროგრამამ გამოიყენა კოლეგიური გარე რეცენზენტი (გირესუნის უნივერსიტეტი) საერთო ხარისხის შესაფასებლად. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, გარე რეცენზენტი ძირითადად დადებითად აფასებს პროგრამას, ერთადერთი რეკომენდაცია ეხება არჩევითი კურსების რაოდენობის გაზრდას და სხვადასხვა უცხო ენებზე აქცენტის გაკეთებას. გარდა ამისა, პროგრამა გადაეგზავნა ქართველ კოლეგებს შემდგომი შეფასებისთვის (კავკასიის უნივერსიტეტი; შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი). ორივე შემთხვევაში უკუკავშრი დადებითია, მხოლოდ ერთი წინადადებით, რომელიც ეხება საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცებას პროგრამასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, ინტერნაციონალიზაცია განიხილება, როგორც მთავარი გამოწვევა და აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულება რამდენიმე აქტივობის განხორციელებას გეგმავს.

პროგრამა 2 ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, ბოლო აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციის მიხედვით განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: შეიცვალა სავალდებულო კურსების სია; დაემატა არჩევითი საგნები; შეიმუშავეს სამეცნიერო წერაზე ორიენტირებული კურსები; პროგრამაზე სტუდენტების მიღების წესი შეიცვალა ისე, რომ გათვალისწინებული იყო წინა საგანმანათლებლო სფერო. გარდა ამისა, კურსების სილაბუსი შეიცვალა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული კრიტერიუმების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა გაეგზავნა რეცენზენტს გარე ხარისხის შეფასებისთვის, ეს ჩართული იყო კლასტერულ შეფასებაში და არანაირი კონკრეტული კომენტარი/ უკუკავშირი არ მიეცა ამ პროგრამას. საერთო შეფასება დადებითია როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი რეცენზენტებისგან (გირესუნის უნივერსიტეტი, თურქეთი; კავკასიის და ბათუმის უნივერსიტეტები).

პროგრამა 3 ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ გათვალისწინებული იქნა გარკვეული რეკომენდაციები. კერძოდ, დაემატა არჩევითი კურსების რაოდენობა, შეიცვალა სავალდებულო კურსის შინაარსი. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა გაეგზავნა რეცენზენტს გარე ხარისხის შეფასებისთვის, ეს ჩართული იყო კლასტერულ შეფასებაში და არანაირი კონკრეტული კომენტარი/ უკუკავშირი არ მიეცა ამ პროგრამას. საერთო შეფასება დადებითია როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი რეცენზენტებისგან (გირესუნის უნივერსიტეტი, თურქეთი; კავკასიის და ბათუმის უნივერსიტეტები).

პროგრამა 4 ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

ქართულ ფილოლოგიაში სადოქტორო პროგრამამ შეასრულა ყველა ის რეკომენდაცია, რაც გაცემული იყო აკრედიტაციის პროცესში. პროგრამის სასწავლო გეგმა ისე შეიცვალა, რომ ზოგიერთი კურსი ამოიღეს, დაემატა სადოქტორო დისერტაციის მომზადებასა და დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები (აკადემიური სტილი; მოთხოვნების წარდგენა). ჩატარდა დამსაქმებლის კვლევა რეგიონში პრიორიტეტების გამოსავლენად. სასწავლო სესიები აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის შემუშავებული იყო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოსაყენებლად, აკადემიური ჟურნალების შესარჩევად. გარდა ამისა, პროგრამა გაეგზავნა გარე რეცენზენტს კალგარის უნივერსიტეტში (კანადა). რეცენზენტს ჰქონდა მცირე კომენტარი პროგრამაში „პროფესორის ასისტენტობის“ დავალების შესახებ, მაგრამ ეს იყო ერთადერთი შენიშვნა. ყველა ქართველმა გარე რეცენზენტმა შეაფასა კლასტერში

დაჯგუფებული პროგრამა, საერთო უკუკავშირი დადებითია და არ არის გაცემული მნიშვნელოვანი რეკომენდაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ადგილობრივი და საერთაშორისო უნივერსიტეტების გარე ექსპერტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები
- კლასტერში დაჯგუფებული ოთხი პროგრამის წინა აკრედიტაციის ანგარიშები
- გასაუბრებების შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და არა მხოლოდ პროგრამის აკრედიტაციის პაკეტის წარდგენამდე, რათა თუ არსებობს რაიმე რჩევა და რეკომენდაცია, მათი განხორციელება შესაძლებელი იყოს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და

სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის

შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება მიმდინარეობს უნივერსიტეტში არსებული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ, პროცესში ჩართული არიან აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. მათთან შეხვედრების საფუძველზე ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება, რომლებიც განიხილება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში, შემდეგ ფაკულტეტის საბჭოში და, ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში, გადაეცემა აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, თუ როგორ არის ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე ზემოაღნიშნულ პროცესში. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები ძირითადად ავსებენ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ კითხვარებს. კითხვარის შინაარსი მოიცავს კონკრეტულ სასწავლო კურსებს, ასევე საუნივერსიტეტო სერვისებს. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ეჭვი, თუ როგორ დაადგინა უნივერსიტეტმა, რომ კითხვარი შეავსო უშუალოდ სამიზნე ჯგუფმა და არა მან, ვინც არ არის სამიზნე აუდიტორია. იმის გათვალისწინებით, რომ კითხვარები ანონიმურია, უნივერსიტეტს არ აქვს შესაძლებლობა დაიცვას თავი არაავტორიზებული ხალხის მონაწილეობისგან, ამიტომ რეკომენდებულია აღნიშნული კითხვარების გაგზავნა სამიზნე ჯგუფებისთვის ელექტრონული ფოსტით, ასევე მათი განთავსება სასწავლო საინფორმაციო სისტემაში და არა ღიად გავრცელება ვებგვერდზე.

ინტერვიუს დროს დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ ამ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები უმეტესად რეგიონულ საჭიროებებს აკმაყოფილებენ. ისინი აცხადებენ, რომ პროგრამების ხელმძღვანელები ხშირად უკავშირდებიან და ცდილობენ პირადი ინტერვიუების საშუალებით დაადგინონ მათი საჭიროებები. პროგრამების კურსდამთავრებულთა უმეტესობა დასაქმებულია სახელმწიფო სკოლებში; ადგილობრივ მუზეუმებსა და ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში.

მაგისტრანტები და დოქტორანტები აფასებენ თავიანთ ხელმძღვანელებს, შესავსები ფორმების გარდა. როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლები აღნიშნავენ, შეფასების შედეგები გამოიყენება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

უნივერსიტეტმა დანერგა კოლეგიალური შეფასების (ურთერთშეფასების) პრინციპი. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი და პროგრამის ხელმძღვანელი ყოველი სემესტრის დასაწყისში ადგენს აკადემიური პერსონალის სიას, რომელთა ლექციებსაც უნდა დაესწრონ.

ექსპერტთა ჯგუფმა იკითხა, პროგრამა შეადარეს თუ არა საერთაშორისო ან ადგილობრივ ანალოგს. ვინაიდან კლასტერში მოცემულია ქართული ენის ფილოლოგია, ეს იყო ობიექტური მიზეზი იმისა, რომ დაწესებულებამ იგივე პროგრამა ვერ მოძებნა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. თუმცა, აქტივობები არ ჩატარებულა ადგილობრივად, არც ერთი ადგილობრივი პროგრამა არ არის შედარებული კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებთან. ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების თვითშეფასების ჯგუფს, იმუშაოს პროაქტიულად, რათა იპოვოს მსგავსი პროგრამი მსგავსი სფეროდან, და გამოავლინოს მსგავსებები და განსხვავებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების მეთოდოლოგია
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ შექმნილი გამოკითხვის ფორმები
- ინტერვიუების შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ საუნივერსიტეტო კითხვარები არ იყოს საჯაროდ განთავსებული ვებგვერდზე. ნაცვლად ამისა, კითხვარები შეიძლება დაიგზავნოს სამიზნე ჯგუფებთან, ელექტრონული ფოსტის და/ან სასწავლო საინფორმაციო სისტემის მეშვეობით.
- რეკომენდებულია, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების თვითშეფასების ჯგუფმა პროაქტიულად იმუშაოს, რათა საუკეთესო პრაქტიკის სახით, მოიძიოს მსგავსი პროგრამები მსგავსი დარგებიდან და გამოავლინოს მსგავსებები და განსხვავებები, რათა შემდგომ მოხდეს ამ საუკეთესო პრაქტიკების განხორციელება, ადაპტაციის გზით.

კლასტერის საერთო რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
სსიპ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, დონეები:

1. ქართული ფილოლოგია, საბაკალავრო პროგრამა
2. ქართველური ენათმეცნიერება, სამაგისტრო პროგრამა
3. ქართული ლიტერატურის ისტორია, სამაგისტრო პროგრამა
4. ქართული ფილოლოგია, სადოქტორო პროგრამა

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

შინაარსი / **სტანდარტი**	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ქართველურ ენათმეცნიერებაში)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია

					მოთხოვნებ თან
პროგრამა 4 (ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობ აშია მოთხოვნებ თან

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

გეორგ შუპენერი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ზაალ კიკვიძე

ნინო პოპიაშვილი

თამარ ჩოკორაია

გიგა ხოსიტაშვილი

თეონა კუპრაძე